ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 18 მაისი, 2016 | №116 (7042) | ფასი: 50 თეთრი

## სააკაშვილი ლიბერალურ გაერთიანებას აყალიბებს

მის გუნდს კორუფციაში ადანაშაულებენ

გვ.7



17 მაისიდან

გი დე მოპასანი

ლამაზი მეგობარი

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



# თამაზ მეჭიაური „ქართულ ოცნებას“ ტოვებს

## შექმნის თუ არა დეპუტატი თავის პარტიას

გვ.3



## კარლო კოპალიანი: „ნაციონალების ნაწილმა სიაში ჩასმაზე უარი თქვა“

## დავით ნარმანია: „მოვედი, რომ დავასრულო სიცრუე და პროპაგანდა“









ხათუნა სამნიძე: „ვწუხვარ, რომ თქვენთან დაპირისპირება მიწევს“

გვ. 2

გვ.4



„ეკა ტყეშელაშვილმა და ზაზა ბიბილაშვილმა მაჭავარიანს სულ შავი დღე აყარეს, სიაში ჩასმას როგორ გვიბედავო“

## ნანა კაკაბაძე: „ივანიშვილს კაბელების საქმე საერთოდ არ აინტერესებს“

გვ.5



„დღეს სასამართლოებში გამამართლებელი განაჩენი 36-37%-ს აღწევს“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მრავალშვილიანობა საქართველოს გადარჩენის ერთადერთი ფორმულაა“

გვ. 3



ISSN 1987-9385

## საქართველოში ოქროს ნაწარმი გაიაფდა

გვ.6



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

ნათია ხურცილავა

# დავით ნარმანია: „მოვედი, რომ დავასრულო სიცრუე და პროპაგანდა“

## ხათუნა სამნიძე: „ვწუხვარ, რომ თქვენთან დაპირისპირება მიწევს“

**თბილისის მერი დავით ნარმანია გუშინ, 17 მაისს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მივიდა.**

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს შენობის წინ „პარტიზანმა მებაღეებმა“ აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებს პოლიციამ პროტესტის ადგილი დაატოვებინა იმ მიზეზით, რომ სხვა აქციის მონაწილეებსა და მათ შორის ინციდენტს ადგილი არ ჰქონოდა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ნარმანია თავის მოადგილეებთან ერთად მივიდა. სხდომაზე თავისუფალი დასწრება იყო და მასზე მრავლად იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებიც.

ნარმანიამ გამოსვლა საბავშვო ბაღების საკითხით დაიწყო, რამაც სხდომაზე დამსწრე არასამთავრობოს წევრის გაღიზიანება გამოიწვია. არასამთავრობოთა ნაწილმა პლაკატები გადმოფინა, მოქალაქის პროტესტს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, გაწევ-გამოწევაში აქტიურად ჩაერთო უფლებადამცველი მელორ ვაჩნაძეც.

სხდომათა დარბაზში განვითარებულმა მოვლენებმა ნარმანიას ანგარიშის შეწყვეტა გამოიწვია. მოგვიანებით დაცვის სამსახურმა ის მოქალაქეები გაიყვანა, რომელთაც ნარმანიას მოუწოდეს, ბოტანიკური ბაღის ირგვლივ განვითარებული მოვლენებით დაეწყო საუბარი და ყურადღება სხვა თემაზე არ გადაეტანა.



**დავით ნარმანია:**

– მოვედი, რომ დავასრულო სიცრუის პროპაგანდა და ტირაჟირება, რომლითაც ოპონენტები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ. გასაკვირი არ არის, რომ ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის ცდილობს, ჩვენს წარმატებულ საქმიანობას დაუპირისპიროს სიცრუე და ხელოვნური აჟიოტაჟი. ეს მათი სტილია. თუმცა, ჩვენ გვაქვს ფაქტები და შეგვიძლია შევადაროთ, თუ რა კეთდებოდა ქალაქში მათი მმართველობის პერიოდში და რა კეთდება ახლა.

თბილისის მერმა ბოტანიკური ბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა.

– ზოგიერთი ოპონენტის მოსაზრება, თითქოს ბიძინა ივანიშვილი ამ ყველაფერს საკუთარი ეზოს კეთილმოწყობისთვის აკეთებს, აბსურდი და სიცრუეა, საერთოდ რომ არაფერი ვთქვათ პროექტის სიკეთესა და მნიშვნელობაზე ქალაქის განვითარებისთვის, – განაცხადა მან.

მან განმარტა, რომ ტერიტორიები, რომლებზეც მიმდინარეობს საუბარი, მდებარეობს ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციის საპირისპირო მხარეს, ბოტანიკური ბაღის გადაღმა და ეს ტერიტორია ბოტანიკური ბაღისგან ციცაბო კლდით არის გამიჯნული.

– თავის დროზე სწორედ ბიძინა ივანიშვილი იყო წინააღმდეგი, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მომხდარიყო განაშენიანება, სწორედ მან გადაარჩინა ბოტანიკური ბაღი და ბოლო პერიოდის განმავლობაში 23 მილიონი ლარი დახარჯა მისი შენარჩუნებისა და განვითარებისთვის, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მისი თქმით, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები პრობლემას არ ქმნის ბაღის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

– ელექტროგადაცემის ხაზები, ნორმატივებიდან გამომდინარე, გავლენას ვერ მოახდენს ბაღის ბიოლოგიურ გარემოზე. ყველა ანძა განლაგებულია თითქმის მიუვალ ადგილებზე, სადაც კაპიტალურ მშენებლობას აზრი არ აქვს, ხოლო საფეხმავლო ტურისტული ბილიკების მოწყობა შესაძლებელია, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერმა პროექტის ეკონომიკურ მხარეზეც ისაუბრა.

– აუქციონში გამარჯვების შედეგად ინვესტორმა აიღო ვალდებულება, შესყიდულ 29 ჰექტარ ტერიტორიაზე აშენდეს მინიმუმ 80 ნომრიანი სასტუმრო, განაშენიანება მოხდება შესყიდული ტერიტორიის მხოლოდ 7%-ზე, სამაგიეროდ ინვესტორი მზად არის, მოახდინოს დანარჩენი 27 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამწვანება, რეკრეაციულ-დასასვენებელი დანიშნულებით



განვითარება, ტერიტორიის განახლება, რაც გულისხმობსსამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, – აღნიშნა ნარმანიამ.

მან სიცრუე უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ აღნიშნული მიწის გაყიდვით შეიძლება შეფერხდეს კრწანისი-შინდისის გზის მშენებლობა.

– გზის ძირითადი კონტური და მიმართულება არ შეცვლილა, საგზაო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს და, დაპირებისამებრ, შემოდგომაზე ეს გზა თბილისელებს ჩაბარდება, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.



მისი თქმით, პროექტი დაკორექტირდა გენერალური გეგმის რეკომენდაციების საფუძველზე, მოხდა გზის ღერძის გადატანა. ეს შეეხო ერთ მესამედ ნაწილს, ანუ დაახლოებით 2 კილომეტრამდე მონაკვეთს, თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, პროექტი გახდა უფრო მომგებიანი, არ გაზრდილა ხარჯები.

– რაც შეეხება 395 ხეს, მათი უდიდესი ნაწილი, პროექტი რომ არ შეცვლილიყო, მაინც მოიჭრებოდა. ამ ხეების ნაცვლად კი მშენებელი კომპანია შემოდის ინიციატივით, მიმდებარე ტერიტორიაზე დარგოს 400 ხე. გზა არ გაყოფს შუაში გამწვანებულ ტერიტორიას, არ დაარღვევს გარემოს მთლიანობას, მისი დანაწევრება კი ხელს შეუშლიდა გარემოს თვითაღდგენის პროცესსა და ლანდშაფტის ერთიან აღქმას, – განმარტა ბ-მა ნარმანიამ.

* * *

საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ასეთი კითხვით მიმართა დავით ნარმანიას:

– თქვენ, როგორც თბილისის მერი, როგორც თბილისის მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებული პირი, ხართ თუ არა მზად, რომ მუნიციპალიტეტს დაუბრუნდეს ეს 29 ჰექტარი და ხელახლა მოხდეს ტენდერის გამოცხადება? ეს ძალიან მარტივი კითხვაა, ან კი მიპასუხეთ, ან არა.

დავით ნარმანიამ ელისაშვილს ასე უპასუხა:

– რატომ უნდა ვთქვათ უარი უკვე დაწყებულ პროექტზე, საუბარია უკაცრიელი ტერიტორიის განვითარებაზე. ერთადერთ შემთხვევაში მოხდება ხელმეორედ გადახედვა, თუ სასამართლო მიიღებს ამ გადაწყვეტილებას.

ნაციონალმა ირაკლი აბესაძემ განაცხადა, რომ უზნეობაა, როდესაც ქალაქის ცენტრში 29 ჰექტარი სარეკრეაციოდ სარგებლობის სივრცის მიკუთვნება ერთი ადამიანისთვის ხდება, რომელიც ამ ტერიტორიას შემოღობავს და ახალ რეზიდენციას აიშენებს.

– ამის საწინააღმდეგოდ სამართლებრივი გარანტია თქვენ არ გაქვთ. საწინააღმდეგოს დამტკიცება შეგეძლოთ ტრიბუნასთან, თუმცა, თქვენ ეს დრო სხვა თემებზე საუბრისთვის დახარჯეთ. თუ საზოგადოებას არ ატყუებთ და სივრცე სარეკრეაციო და საჯარო იქნება, მაშინ გვითხარით, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს თავი აარიდეთ, – ასე მიმართა მან დავით ნარმანიას.

დედაქალაქის მერს საკრებულოს ფრაქცია რესპუბლიკელების თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემაც მიმართა.

– ვწუხვარ, თქვენთან დაპირისპირება რომ მიწევს, რადგან რესპუბლიკელები თქვენი გულშემატკივრები ვიყავით, რადგან თქვენი პროფესიონალიზმის გვჯეროდა. მერიაში პროცესები იმდენად გაუმჭვირვალე და უკონტროლოა, ნუ გაგიკვირდებათ, როცა ეჭვს გამოვთქვამთ, რომ ქალაქს არჩეული მერი არ ან ვერ მართავს. ეს მეტად საშიში მდგომარეობაა და ხელისუფლების წარმომადგენლობითობას საფრთხეს უქმნის, – განაცხადა ქ-მა სამნიძემ.

* * *

მოგვიანებით თბილისის საკრებულოში მომხდარ ინციდენტს რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი გამოეხმაურა.

ზურაბიშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ დედაქალაქის მერიამ და საკრებულოს უმრავლესობამ კონფრონტაციული ტონი აირჩია, რაც „ქართული ოცნებისთვის“ დამაზიანებელია.

– უმრავლესობის წევრები და მერი ცდილობდნენ დღევანდელი დღე წარმოეჩინათ, თითქოს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას იწყებდნენ. ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ კითხვებზე პასუხების გაცემისთვის მზაობას. რასაც მე ვუყურებ, ძირითადად, ბრალდებებს ვხედავ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. აი, საბჭოთა კავშირის დროს რომ იყო ისე. ჯერჯერობით სულ იმ 9 წელთან არის შედარება.

მოგვიანებით ნაციონალური მოძრაობის წევრებმა საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. როგორც სხდომიდან გამოსულმა ირაკლი აბესაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, დავით ნარმანიას ანგარიშის პრეზენტაცია ძალიან სამარცხვინო იყო.

– თბილისის მერმა ყველაფერი გააკეთა, რომ არ ესაუბრა ბოტანიკური ბაღის და თბილისელების პრობლემაზე, დახარჯულ მილიონებზე და ყურადღება გადაეტანა წარსულში არსებულ შეცდომებზე და ამით დაეცვა ივანიშვილის ღირსება, ადამიანის, რომელმაც თბილისელებს წაართვა ცენტრში სარეკრეაციო ზონა. ეს იყო ძალიან სამარცხვინო პრეზენტაცია, სამარცხვინო სპექტაკლი, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.



ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თამაზ მეჭიაური „ქართულ ოცნებას“ ტოვებს

## შექმნის თუ არა დეპუტატი თავის პარტიას

შორენა მარსაგიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სკანდალი სკანდალზე გორდება, თამაზ მეჭიაური აქტუალობას არ კარგავს. საპარლამენტო უმრავლესობაცა და უმცირესობაც მასზე საუბრობს. უმოქმედოდ არც მეჭიაური ზის და ისეთ განცხადებებს აკეთებს, მკვდარსაც რომ გამოაცოცხლებს.

პარტია „ქართულ ოცნებას“ ის რამდენიმე დღეში დატოვებს. ის მმართველი გუნდიდან წასვლას წინა კვირაში აპირებდა, მერე გადაიფიქრა, რადგან, როგორც თავად ამბობს, პარტიის ყრილობის წინ ამის გაკეთება მთლად ლამაზი საქციელი არ იქნებოდა.

ყრილობის წინ ის ბიძინა ივანიშვილსაც ესაუბრა და თავისი გეგმები გააცნო. მეჭიაური არ აკონკრეტებს, რას ფიქრობს მის წასვლაზე ივანიშვილი. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მხოლოდ იმას ამბობს, რომ პარტიიდან წასვლასთან დაკავშირებით ჯერ ყველა პროცედურა არ დაუსრულებია.

— გადაწყვეტილება თითქმის მიღებული მაქვს, მაგრამ არ მისაუბრია იმათთან, ვისაც პატივს ვცემ. დამშვიდობებაც ღირსეული უნდა იყოს. არ შეიძლება, ასე კარი გამოიჯახუნო და წახვიდე. ვესაუბრე ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ჩემი მეგობარია, ჩემი კურსელია. არ მისაუბრია პარტიის უკვე ახალ თავმჯდომარესთან, არ იმყოფება საქართველოში. ვფიქრობ, კვირის ბოლომდე დავასრულებ ამ პროცედურებს, — განაცხადა მეჭიაურმა.

მართალია, „ქართული ოცნებიდან“ ჯერ არ წასულა, მაგრამ მთელი ერი იმას არკვევს, სად წავა ბიძინა ივანიშვილის მეგობარი.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ მას და მრეწველებს შორის წინასაარჩევნოდ მოლაპარაკებები შედგეს. ის კონსულტაციების გამართვას პატრიოტთა ალიანსთანაც აპირებს. არ არის გამორიცხული, სხვებსაც დაელაპარაკოს.

— მოლაპარაკებებიც, კოორდინაციაც, ყველაფერი შესაძლებელია ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომლებსაც პრიორიტეტთა თანხვედრა გვაქვს. მრეწველებს დიდ პატივს ვცემ, ჩვენი ხედვები ბევრ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა და მათთან თანამშრომლობაც რატომ არ შეიძლება, რომ მოხდეს.

პატრიოტთა ალიანსთანაც არის ბევრი ისეთი ხედვა, რომელიც ემთხვევა, მაგრამ მე არ ვიცი მათი ხედვა ნატოს მიმართ. ნებისმიერთან შეიძლება თანამშრომლობა შედგეს, მათთან, რომლებიც ასე ბრმად არ იმართებიან ქვეყნის გარედან, — განაცხადა დეპუტატმა.

მეჭიაურმა, შესაძლოა, საკუთარი პარტიაც შექმნას. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მასთან წასვლას უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატიც აპირებს.

მართალია, ვიღაც-ვიღაცებზე ნაწყენია, მაგრამ „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში ჩადგომა არ სურს, თუმცა ნატოსთან დაკავშირებით პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

— ამ პოლიტიკურ ციკლს რაც შეეხება, მე ბოლომდე დავრჩები უმრავლესობაში, თუმცა — თავისუფალი მანდატით. არ ვაპირებ ოპოზიციაში წასვლას ან სხვა პარტიასთან გაერთიანებას. არაა გამორიცხული, თანამოაზრეებთან ერთად პარტია შევქმნა. ძირითადად ეს იქნება პროქართული ძალები ეროვნული შეხედულებებით და არა — პრორუსული, როგორც ამას ახლა ეძახიან. ჩვენ ვითანამშრომლებთ როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან, — ამბობს დეპუტატი.

* * *

მეჭიაურის განცხადებას „ქართულ ოცნებაში“ ზომიერი გამოხმაურება მოჰყვა. მრეწველთა ლიდერმა გოგი თოფაძემ კი დეპუტატს ქართული ორიენტაციის კაცი უწოდა.

როგორც თოფაძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, იგი მეჭიაურს დიდ პატივს სცემს.

— ის არის კარგი ქართველი, პროქართული ორიენტაციის კაცია და დაამტკიცა. პირდაპირი მთქმელია, რაც ძალიან დასაფასებელია. ვნახოთ, ვნახოთ. არ გამოვრიცხავთ არაფერს. ჯერ ამაზე საუბარი არ ყოფილა. ჯერ ადრეა. ოფიციალურად პარტიის აქტიურობა ჯერ ადრეა. 8 ივნისის მერე დავიწყებთ. ისე, ვიღაცებს ვხვდებით. მეჭიაური ყველანაირად დადებითი კაცია, — განაცხადა გოგი თოფაძემ.

დეპუტატმა ზვიად ძიძიგურმა ჯერ არ იცის, ვისთან ერთად შექმნის მეჭიაური პარტიას. ამბობს, რომ ამას დრო გამოაჩენს.

მისი თქმით, არჩევნები კარზეა მომდგარი და საზოგადოება მალე შეიტყობს, როგორი პოლიტიკური კურსის პარტიები შეიქმნება.

— კოალიცია „ქართული ოცნება“ მემორანდუმის ირგვლივ შედგა და იქ ცალსახად იყო დაფიქსირებული დასავლური სტრუქტურების მიმართ ინტეგრაციის სურვილი. ჩვენ ყველანი ხელს ვაწერდით იმას, რომ ევროკავშირი და ნატო ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არ იზიარებს ამ პოზიციას, ამას ჩვენ შემდეგი არჩევნების წინ შევიტყობთ.

როდესაც თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ მის გუნდში არიან უმრავლესობის სხვა წევრებიც, ალბათ, ისინი დაფიქსირდებიან კიდეც მეჭიაურთან. ახლა ვარაუდებით ვერ ვისაუბრებ. არჩევნები მალე მოვა და ყველანი ვნახავთ, ვინ რომელი მიმართულებით შექმნის პარტიასა თუ ბლოკს, — აღნიშნა ძიძიგურმა.

მის მსგავსად არც ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ იცის, ვისთან ერთად შეიძლება მეჭიაურმა პარტია შექმნას. ვოლსკი იმედოვნებს, რომ მისი სამწყსოდან არავინ წავა.

— სახელმწიფო ახორციელებს პრაგმატულ, აწონილ-დაწონილ, სტრატეგიულად გათვლილ საგარეო კურსს. თამაზ მეჭიაურს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები აქვს. არის საკითხები, სადაც ჩვენი პოზიციები განსხვავდება და, ალბათ, ამიტომ გადის უმრავლესობიდან, თუკი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს.

მე პრინციპულად არასწორად მიმაჩნია დიდი ხნის განმავლობაში თანამებრძოლის გარიცხვა, მოკვეთა თუ მის მიმართ მკაცრი ადმინისტრაციული ზომების გატარება იმის გამო, რომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს შეიძლება ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეს. მთავარია კურსი, რომელსაც თავად სახელმწიფო ატარებს, — აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბარში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ.

ის მეჭიაურის წასვლას დემარშად არ მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ მთელ რიგ საკითხებში ის მათთან ითანამშრომლებს.

* * *

მაშინ, როცა ერი მის პოლიტიკურ მომავალზე მკითხაობდა, მეჭიაური ახალი სკანდალის მთავარი გმირი გახდა. მას ჟურნალისტის შეურაცხყოფას სდებენ ბრალად.

დეპუტატი რედისონთან მომხდარ ინციდენტს პროვოკაციას უწოდებს.

— მოვიდა ვიღაც ბიჭი, ხელში უჭირავს მობილური და პასუხებს მთხოვს რაღაცაზე. მე ვუთხარი, რომ ტელეფონზე ვსაუბრობდი და დამლოდებოდა. გამიჭირა საქმე, თითქმის მანქანაში შემომიხტა და მეკითხებოდა ლგბტ-ების შესახებ. მე ვუთხარი, რომ ლგბტ-ების უფლებები დაცულია, მათი უფლება არ ირღვევა და ანტიდისკრიმინაციული კანონით არიან დაცული. ვინც თხუპნის საპატრიარქოს კედლებს და შეურაცხყოფას აყენებს მართლმადიდებლობას, ისინი არიან პიდარასტები-მეთქი.

მერე პატრულს ვთხოვე, წაიყვანეთ, მომაშორეთ ეს ვიღაც ლგბტ-ეა თუ ვიღაც-მეთქი. ისე კი ჰგავდა მათ რაღაცით. პროვოკაციაზე იყო მოსული, მიხტებოდა მანქანაში, რად მინდოდა, კარგი ქალი რომ ყოფილიყო, იმასაც არ ჩავსვამდი და ის ვის რაში სჭირდებოდა. მობილური ვისაც უკავია, ყველა ჟურნალისტია? თუ ჟურნალისტია, მაშინ მაჩვენოს საბუთი. რაც შეეხება ჩემს განცხადებას, ეს უფრო მნიშვნელოვანია თუ ის, რომ საპატრიარქოს კედლებზე შეურაცხმყოფელ წარწერებს აკეთებ? საპატრიარქოს შეურაცხყოფაა გამოხატვის თავისუფლება და ერთი ადგილის თამაშია შეურაცხყოფა? — განაცხადა მეჭიაურმა.



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მრავალშვილიანობა საქართველოს გადარჩენის ერთადერთი ფორმულაა“

გულიკო ბალაძე

**17 მაისს რუსთაველზე გამოსულმა საზოგადოებამ აღნიშნა ოჯახის სიმტკიცის დღე, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დააარსა.**

რუსთაველზე გამოსულ საზოგადოებას, რომელსაც სამღვდელოება მიუძღოდა წინ, შეუერთდნენ მსოფლიო საოჯახო კონგრესის მონაწილეები. შეკრებილმა საზოგადოებამ სამების საკათედრო ტაძრამდე მსვლელობა გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ოჯახები პატარა ბავშვებთან ერთად.

მსვლელობის მონაწილეები აწყურის ღვთისმშობლის ხატს მიაბრძანებდნენ.

სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა, მანამდე ბრძანა, რომ ეს დღე განსაკუთრებულია.

— დღეს ღვთისმშობელი ლოცავს მტკიცე ოჯახს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მფარველობს საქართველოს. მისი ღვაწლით გაბრწყინდება საქართველო. საქართველოდან გაბრწყინდება მთელი მსოფლიო. შეგვეწიე და დაგვლოცე, ღვთისმშობელო, — ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა.

მსვლელობის დაწყებამდე მსოფლიო კონგრესის ორგანიზატორმა ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ 200-ზე მეტი სტუმარი მთელი მსოფლიოდან უერთდება ოჯახური კულტურის მხარდამჭერ აქციას.

— გვიხარია, რომ გვაქვს საშუალება, მივიღოთ მონაწილეობა მისი უწმინდესობის დაარსებულ დღესასწაულში, რომელიც ეძღვნება ოჯახის სიწმინდის დაცვასა და მშობლების



პატივისცემას. ბედნიერებაა, რომ ვუერთდები აწყურის ღვთისმშობლის ხატის მსვლელობას.

ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია, რომ 200-ზე მეტი სტუმარი გვყავს მთელი მსოფლიოდან, ყველა კონტინენტიდან, ამერიკიდან, ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან. ისინი უერთდებიან საქართველოში ოჯახური კულტურის მხარდამჭერ ამ უდიდეს აქციას. დიდი მადლობა ყველას, როგორი საოცარი დღეა, რა კარგი ამინდია, — ასეთი განცხადება გააკეთა ლევან ვასაძემ.

* * *

ოჯახური კულტურის მხარდამჭერ აქციაზე მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა წინა რიგებში იმყოფებოდა აქტიური პოლიტიკოსი, პარლამენტის ყოფილი წევრი, 8 შვილის მამა დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელმაც „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მრავალშვილიან ოჯახებზე.

***— ბატონო დიმიტრი, დასავლეთის კრიტიკიდან გამომდინარე. რა შთაბეჭდილებით გამოვიდნენ დასავლელი სტუმრები მსოფლიო კონგრესის ყრილობიდან?***

— ყრილობაში მონაწილეობდნენ აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, დანიის, იტალიის, ნორვეგიის, რუსეთის, იაპონიის, ავსტრალიის წარმომადგენლები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ოჯახური სიმტკიცისა და ოჯახური ფასეულობების დაცვის სადარაჯოზე მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციას. ეს კოალიცია თავის რიგებში, ჯამში, 4 მილიონ ადამიანს აერთიანებს. ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმი ჩატარდა თბილისში ბატონი ლევან ვასაძის თავმჯდომარეობით, რომელიც ასევე წარმოადგენს დემოგრაფიული განვითარების ფონდს.

დასავლეთის კრიტიკა იყო კრიტიკა გულშემატკივარი პირისა, რომელიც თავად არის დასავლეთში განათლებამიღებული, რომელმაც ზუსტად იცის, რა არის დასავლური ღირებულებები, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს მოდერნიზმზე, პროგრესზე, რეალურ დემოკრატიაზე.

ჩვენი დასავლელი პარტნიორები ხშირად გვღალატობენ, როდესაც ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევას ამა თუ იმ რეჟიმის მიერ, გარკვეული კონიუნქტურიდან გამომდინარე, ტენდენციურად აფასებენ.

***— მაგალითად?***

— მაგალითად, როდესაც 2011 წლის 26 მაისს გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის პოლიტაქტივი სრული შემადგენლობით აღმოჩნდა პოლიტპატიმართა სიაში, როდესაც არნახული სპეცსამხედრო ღონისძიების შედეგად სააკაშვილის რეჟიმმა პირდაპირ დახოცა ხალხი რუსთაველზე, იმის მაგივრად, რომ ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებს და პირველ რიგში აშშ-ის ხელისუფლებას დაეგმო მომხდარი ფაქტი, არათუ დაგმო, მწვანე შუქიც კი აუნთო და გარკვეული ლეგიტიმაცია მისცა სააკაშვილის სისხლიან ქმედებებს.

***— მსოფლიო საოჯახო კონგრესის მონაწილეებს აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი, უმცროსი ბუში მიესალმა. თქვენ როგორ მიიღეთ ბუშის მისალმება, რომელიც სააკაშვილს უჭერდა მხარს?***

— მსოფლიო საოჯახო კონგრესი კონსერვატიულ და, ამავე დროს, ჭეშმარიტად ლიბერალური ღირებულებების მქონე ადამიანებს აერთიანებს. ჩვენ ეს ლიბერალიზმი არ უნდა აგვერიოს ფაშისტურ და ნეოლიბერალიზმში, რომელიც ლიბერტარიანული პოლიტიკის გატარების გზით ცდილობს, გააღატაკოს და განდევნოს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები ყველანაირი ლეგიტიმური სივრციდან.

***— სააკაშვილის რეჟიმი იყო ლიბერტარიანული პოლიტიკის გამტარებელი?***

— ნამდვილად იყო, რადგან ლიბერტარიანიზმი ნიშნავდა ჯუნგლების კანონს დაქვემდებარებას, სადაც ძლიერის გადარჩენის პრინციპით ხდებოდა გადარჩევა საზოგადოებაში. ამის გამო ჩვენ 9 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი მივიღეთ ერთიან ბაზაში.

ბატონი ჯორჯ ბუში თავისი კონსერვატიული განწყობებით ძალიან ცნობილია. საუბარია უფროს ბუშზე. ის, რომ უმცროსმა ჯორჯ ბუშმა გამოგზავნა მხარდამჭერი წერილი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რამდენად უნივერსალურია ადამიანის ისეთი ღირებულება, როგორიცაა ოჯახური სიწმინდე და ტრადიციული ღირებულებები, რომლის უკან დგას უნივერსალური პირობა, რომელიც არის ერთადერთი წარმმართველი ძალა კაცობრიობის განვითარებისა. ეს კი ეფუძნება ოჯახს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის მხარდაჭერა.

***— ქართველი ერი გაერომ მსოფლიოს მომაკვდავ ერთა რიცხვში შეიყვანა. ლევან ვასაძის გამოსვლაში გაიჟღერა, რომ საქართველოში ყოველწლიურად 50 ათასით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება, ხოლო აბორტების რიცხვი 100 ათასსაც კი აღწევს ანუ ჩვენს ერს შეუძლია, არ იყოს მომაკვდავი ერების რიცხვში.***

— ძალიან საინტერესო სტატის-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კარლო კოპალიანი: „ნაციონალების ნაწილმა სიაში ჩასმაზე უარი თქვა“

## „ეკა ტყეშელაშვილმა და ზაზა ბიბილაშვილმა მაჭავარიანს სულ შავი დღე აყარეს, სიაში ჩასმას როგორ გვიბედავო“

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ და რატომ თქვა უარი ნაციონალების საარჩევნო სიაში ჩასმაზე, რა ემართებათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს პარლამენტში, რატომ არა აქვს პაატა ბურჭულაძეს ხელისუფლების კრიტიკის უფლება, როდის გაემიჯნა ივანიშვილი სააკაშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი ესაუბრება.**

***– ნაციონალებმა წარმოადგინეს თავიანთი საარჩევნო სიის პირველი ათეული. ზოგიერთმა თქვენმა თანაპარტიელმა განაცხადა, რომ სია შთამბეჭდავია. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– რა უნდა ვიფიქრო, პარტიას, რომელსაც საარჩევნო სიაში მესამე ნომრად რომან გოცირიძე ეყოლება, წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა უჭირდეს? ეგ კაცი შევარდნაძის დროს ვიცე-პრემიერი იყო და ეკონომიკის საკითხებს განაგებდა. ქართული ეკონომიკის დაქცევა მაგან დაიწყო. მის დროს განიავდა საქართველოს ქონება. თავის დროზე ეგ კაცი ნაციონალებმაც მოისროლეს, მერე რაღაც გზებით ისევ დაბრუნდა მათთან. არა მგონია ნაციონალები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, უბრალოდ, სიაში შესაყვანი ხალხი აღარ ჰყავთ და ვინც ხელში მოხვდებათ, ყველას წერენ.

***– მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე, სიაში მოხვედრაზე პარტიაში, როგორც ამბობენ, სერიოზული დაპირისპირებაა.***

– თქვენ მართლა გჯერათ, რომ სიაში მოხვედრის გამო ხოცავენ ერთმანეთს? მსგავსი არაფერი ხდება. საქმე სინამდვილეში პირიქით არის. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელმა პარტიის რამდენიმე ლიდერს სერიოზულად გაურჩია საქმე. ისინი აღშფოთებული იყვნენ იმის გამო, რომ ლიდერებმა სიაში მათ შესაძლო ყოფნაზე განცხადებები გააკეთეს.

ჩემი წყაროს ინფორმაციით, მათ განსაკუთრებით შავი დღე მაჭავარიანს აყარეს – სიაში ჩასმას როგორ გვიბედავო.

***– შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება, ვინც სიაში ჩასმა იუკადრისა?***

– რამდენადაც ჩემთან მოვიდა ინფორმაცია, ეს არის ეკა ტყეშელაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი. გიორგი ქადაგიძეც უკმაყოფილო ყოფილა. როცა ასეთ დეფიციტში არიან, ჩასვამდნენ გოცირიძეს სიაში, აბა რას იზამდნენ.

***– ცოტა დაუჯერებელია, ნაციონალებს სიაში ჩასაწერი ხალხის დეფიციტი რომ ჰქონდეთ.***

– რატომ არის ძნელი დასაჯერებელი. ამათი გემი ჩასაძირად არის განწირული. ასეთ გემზე ასვლას კი არავინ მოისურვებს. გახსოვთ, რამდენიმე კვირის წინ გითხარით, გიორგი ვაშაძე აპირებს წამოსვლას-თქო. ხომ გამართლდა ეს ამბავი და წამოვიდა? ასეთივე სიმართლეა ის ამბავიც, რომელზეც ახლა გესაუბრებით.

რომან გოცირიძეს და ელენე ხოშტარიას თავი, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტებს, ისე მოჰქონდათ. თითებს გვიქნევდნენ და ქვეყნის მართვას გვასწავლიდნენ. სულ მქონდა ეჭვი, რომ ეგენი ნაციონალების ძუძუს წოვდნენ და სიის წარდგენისას დადასტურდა ეს ამბავი. ექსპერტების სიაში ჩასმით კი დასტურდება, რომ ხალხი არ ჰყავთ. საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ აქ ისეთი ამბები გამოაშკარავდება, ყველა გაოგნებული დარჩება. ძალიან ბევრი პარტია გაიშიფრება. რამდენიმეს უკვე აშკარად ეტყობა, რომ ნაციონალებთან ერთად ერთ ხმაში მღერის.

***– რომელ პარტიაზე საუბრობთ? თქვენი თანაპარტიელების მსგავსად, თავისუფალი დემოკრატები ხომ არ გყავთ მხედველობაში?***

– ადრეც არაერთხელ ვთქვი, რომ ირაკლი ალასანიაზე აუგს არ ვიტყვი. მასთან ერთად 2012 წელს ომში ვიყავით და შეფასებებს ვერიდები. მის თანაპარტიელებთანაც კარგი ურთიერთობები მაქვს და ამიტომაც გული მტკივა, მათ საქციელს რომ ვუყურებ. განსაკუთრებით არ მომეწონა მათი ბოლო განცხადებები.

***– რა არ მოგეწონათ, ივანიშვილის წინააღმდეგ რომ აპირებენ აქციების დაწყებას?***

– არც ეს მომეწონა და არც ის, რომ ამით ვერაფერს მიაღწევენ და თავს გაიბითურებენ. კიდევ ვიმეორებ, ამ პარტიის მიმართ სიმპათიები მაქვს და არ მინდა, რომ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ. ირაკლი ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ ახალ დიდ შეცდომას უშვებს.

***– შეცდომად რას თვლით, თანამებრძოლების გათავისუფლებას რომ ითხოვს?***

– თანამებრძოლებს მხარს რომ უჭერს, ეს მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რომელ პარტიას წარმოადგენენ ისინი. დღეს სასამართლოც თავისუფალია და პროკურატურაც. ვერავინ დამაჯერებს, რომ ამ ბიჭებს საქმეები „შეუკერეს“. ირაკლი განსაკუთრებით იმაში ცდება, რომ აცხადებს, ივანიშვილის წინააღმდეგ ვიწყებ აქციებსო. გამაგებინეთ, ხალხო, რა შუაშია აქ ივანიშვილი. არ შეიძლება, ყველაფერი მას დააბრალო.

***– შუაში როგორ არ არის, როცა კაბელების საქმეზე 5 პირი დააკავეს და საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაედო, აღმოჩნდა, რომ ივანიშვილმა საქმის დეტალები ზედმეტად კარგად იცოდა.***

– რას ნიშნავს ზედმეტად კარგად იცოდა? კაცს პრემიერის თანამდებობა ეკავა და როგორ გგონიათ, ეს მნიშვნელოვანი საქმე არ ეცოდინებოდა? ხელისუფლების სათავეში რომ ხარ, ბევრი რამე უნდა იცოდე, სხვანაირად ქვეყნის მართვა გაგიჭირდება.

***– იმ მომენტში ივანიშვილი პრემიერი აღარ იყო. პრემიერობიდან 2013 წლის ნოემბერში წავიდა, კაბელების საქმეზე კი ეს ხალხი 2014 წლის ოქტომბერში დააკავეს.***

– საიდან იცოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უკანონო გზებით არ მოუპოვებია ეს ინფორმაციები. ჟურნალისტები თუ იგებთ რაღაცებს, არც ივანიშვილს გაუჭირდებოდა ამის გაკეთება.

***– რაკი ივანიშვილზე ვსაუბრობთ, მართალია, რომ ის ქვეყნიდან აპირებს წასვლას?***

– ბიძინა ივანიშვილი არსად არ მიდის, ან რატომ უნდა წავიდეს, მე მსგავსი არაფერი მსმენია.

***– პრემიერმა კვირიკაშვილმა „იმედის“ ეთერში განაცხადა, ივანიშვილი ნაწყენია და, შესაძლოა, საერთოდ წავიდესო.***

– განაწყენებული რომ არის, არ მიკვირს. სხვა მაგის ადგილზე იმის მეათედსაც ვერ მოითმენდა, რასაც ეს კაცი ითმენს. ადამიანს სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია და პასუხად აქციებს და სიბინძურეების ძახილს იღებს. ასე ხომ არ შეიძლება.

ივანიშვილმა თავისი ჯიბიდან 3 მილიარდი ამოიღო და საქართველოს მოახმარა. მას ოლიგარქად მოიხსენიებენ და ამ დროს პაატა ბურჭულაძეზე გაიძახიან, ქველმოქმედიაო. მისი ფონდი „იავნანა“ მართალია, ვიღაცებისთვის ბინებს ყიდულობდა, მაგრამ ეს ფული ხომ ბურჭულაძის ჯიბიდან არ ყოფილა ამოღებული. ამ ფონდში მთელი საქართველო რიცხავდა თანხებს. ივანიშვილი კი თავისი ფულით ეხმარებოდა ქვეყანას. მისნაირი კიდევ ერთი რომ ჰყავდეს საქართველოს, კარგად იქნებოდა ჩვენი საქმე.

არ ვიცი, რატომ დაასკვნა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, რომ ივანიშვილი საქართველოდან მიდის. მე რამდენადაც ვიცი, ის აქტიურ ბრძოლაში აპირებს ჩაბმას და ნაციონალების პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმანი უნდა დააჭედოს. ოქტომბერში ნაცმოძრაობასთან ერთად, მის მიერ გამოჩეკილი ძალებიც გაქრებიან.

ნაციონალების მიერ გამოჩეკილ ძალებზე ვსაუბრობ და პაატა ბურჭულაძე უნდა ვახსენო. მაინტერესებს, ეს ადამიანი როგორ ბედავს მოქმედი ხელისუფლების გაკრიტიკებას. მაშინ, როცა ნაციონალები ქვეყანას სისხლში ახრჩობდნენ, სად იყო? 9 წლის მანძილზე ერთხელ არ ამოუღია ხმა და არაფერი გაუპროტესტებია. როცა რუსთაველი სისხლით იყო მორწყული, მღეროდა და ახლა მოუნდა ხელისუფლების კრიტიკა? ასე არ გამოვა, ბატონებო. და კიდევ, ბურჭულაძეს არსად დაეკარგოს მაჭავარიანი.

***– რომელი მაჭავარიანი, მიშა, ვანო თუ სხვა ვინმე?***

– ამ შემთხვევაში მიშა. გამოვიდა და პირდაპირ თქვა, ბურჭულაძესთან ალიანსის შექმნას არ გამოვრიცხავთო. არსად დაეკარგოთ ერთმანეთი.

***– ზემოთ თქვით, კარგი იქნებოდა, ივანიშვილის მსგავსი კიდევ ერთი ვინმე გვყოლოდაო. რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა ერთი ასეთი მილიარდერი – ჩერნოვეცკი, რომელიც პოლიტიკაში აპირებდა მოსვლას, მაგრამ, როგორც ამბობენ, ივანიშვილმა გააძევა პოლიტიკური ველიდან.***

– სისულელეა ეს ამბავი. არაა ივანიშვილი ის კაცი, ვიღაცაზე ზეწოლა რომ განახორციელოს და პოლიტიკური საქმიანობა აუკრძალოს. ან რატომ უნდა გაეკეთებინა ასეთი რამე, მეეჭვება, მას ჩერნოვეცკის შეშინებოდა. ის სააკაშვილმა ვერ შეაშინა და კიევის ყოფილი მერი შეაშინებდა? ეგ კაცი თავისი ნებით წავიდა პოლიტიკიდან და სწორი გადაწყვეტილებაც მიიღო. მიხვდა, რომ ქართულ პოლიტიკაში ვერ მოვიდოდა. ეს იმას ჰგავს, ჩვენი გადარეული პრეზიდენტყოფილი უკრაინის დაპატრონებას რომ ცდილობს.

***– პაატა ბურჭულაძეზე საუბრისას თქვენ განაცხადეთ, რომ ის ნაციონალების ქმედებას არ აპროტესტებდა. ბიძინა ივანიშვილიც არ გამოირჩეოდა იმ 9 წლის მანძილზე ნაციონალების ძაგებით და ამას როგორ ახსნით?***

– ეს ასე არ არის. ივანიშვილი ნაციონალებს 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ ჩამოშორდა.

***– აკაკი ბობოხიძის თქმით კი, ივანიშვილი 2008 წლის არჩევნებზე 5 ნომრიანი კეპით მივიდა და 5 ნომერი, ანუ ნაცმოძრაობა შემოხაზა.***

– კაკო ბობოხიძე რას ამბობს, სულ აღარ მაინტერესებს. პარლამენტში ვაკვირდები ამათ და მგონია, რომ კარგად ვერ არიან, ძალიან უცნაურად იქცევიან სხდომებზე. ბიუროს სხდომებზე სასწაულებს აკეთებენ. ამიტომ ნამეტანი ნუ ენდობით კაკოს სიტყვებს. რაც მეტად მოახლოვდება არჩევნები, მით მეტ სისულელეს იტყვიან.

***– ბობოხიძემ ეს განცხადება 2012 წლის არჩევნებამდე გააკეთა და მაშინ წესით კარგად უნდა ყოფილიყო.***

– რა მაგის საქმეა ახლა, ივანიშვილს რა ეცვა არჩევნებზე? მაგათ ნამუსი რომ ჰქონდეთ, ივანიშვილზე საერთოდ არ უნდა ლაპარაკობდნენ.

***– რატომ, წლების მანძილზე მათი დამფინანსებელი რომ იყო?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ მათი დამფინანსებელი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ ყველას ეგონა, რომ საქართველო უკეთეს გზას დაადგებოდა, რადგან სათავეში ახალგაზრდები მოვიდნენ. თავიდან ისინი ძალიან მოფამფალებულ სკამზე ისხდნენ და ივანიშვილის დახმარება რომ არა, მალე დაეშლებოდათ ეს სკამი.

***– მათ რომ ეს სკამი დაშლოდათ, ის 9 წელი ხომ აღარ იქნებოდა?***

– მაშინ მთელი საქართველო ნაციონალებს უჭერდა მხარს. შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმი აღარავის უნდოდა. ივანიშვილმა იფიქრა, რომ ნაციონალების გვერდზე დგომით ქვეყანას დაეხმარებოდა. ბევრ რამეში დაეხმარა კიდევაც, მაგრამ რამდენიმე წლის მერე მათ ძალიან აურიეს და ივანიშვილიც გაემიჯნა.

***– 2007 წლის 7 ნოემბრამდე ვერ მიხვდა ივანიშვილი, რომ ნაციონალებმა აურიეს?***

– 7 ნოემბერი იყო პიკი. ამ დღის შემდეგ მათთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

***– 7 ნოემბრამდე იყო 2004 წლის მარტი, აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებულმა სამხედრო ოპერაციამ არაფერზე მიანიშნა ივანიშვილს?***

– ნაციონალებმა ეს ოპერაცია სასწაულად „შეფუთეს“. ისე წარმოაჩინეს, რომ თითქოს აფრასიძეებს მთელი სვანეთი ტყვედ ჰყავდა აყვანილი. ამ სისხლიანი ოპერაციის დეტალები მოგვიანებით გასაჯაროვდა მხოლოდ და გვიან გაიგო ყველამ, რა მოხდა სინამდვილეში.

იმაზე საუბარს აზრი აღარ აქვს, როდის დაინახა ივანიშვილმა ნაცების ნამდვილი სახე. მთავარი ისაა, რომ დაინახა, მოვიდა პოლიტიკაში და მათ პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმანი დააჭედა.

***– ზემოთ თქვით, ახლა უნდა დააჭედოს ბოლო ლურსმანიო.***

– მეგონა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს დავაჭედეთ ბოლო ლურსმანი, მაგრამ ამოძვრნენ.



## „ივანიშვილი საქართველოდან არ მიდის“

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მრავალშვილიანობა საქართველოს გადარჩენის ერთადერთი ფორმულაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტიკა მოიყვანა ბატონმა ლევან ვასაძემ. გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება 28%-ით. შემზარავია სტატისტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველწლიურად საქართველოში კეთდება 40-დან 60 ათასამდე აბორტი, რომელიც ძირითადად სქესის შერჩევასთან არის დაკავშირებული.

40-მილიონიან პოლონეთში აბორტების საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში 1.000-ს არ აღემატება, ხოლო 3-მილიონიან საქართველოში 40-დან 60 ათასამდე აბორტი კეთდება, სადაც მიგრაციული პროცესები შეუქცევადი ხასიათისაა. ყოველწლიურად ქვეყანას 100 ათასზე მეტი ადამიანი ტოვებს უკან შემოუსვლელად. ეს არის ის გარდაუვალი ნეგატიური პირობა, რომელიც დეგრადაციის გზაზე გვაყენებს და როგორც მორალური, ასევე ფიზიკური გადაშენებით ემუქრება ჩვენს მომავალს.

***– თქვენ ხართ მრავალშვილიანი მამა. რა არის საჭირო, მრავალშვილიანობას რომ შეეწყოს ხელი, პატრიოტიზმი, რელიგიურობა თუ სახელმწიფოს ზრუნვა?***

– მრავალშვილიანობა არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი ფორმულა. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკა არ ხორციელდება ისე, რა მასშტაბებსაც იგი მოითხოვს. გაუგებარია, რატომ რჩება თაროზე შემოდებული ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივა, როგორიც არის „ქართლის დედის“ წოდების მინიჭების |თაობაზე, რომელიც ჯერ კიდევ ცხონებული ზვიად გამსახურდიას დროს არის მიღებული. მის ამოქმედებას დღემდე არ დაადგა საშველი, რომ მრავალშვილიან დედებს მიენიჭოთ კანონით განსაზღვრული უპირატესობანი, რომელიც მათ სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის პროცესში გამოადგებათ, მომავალი დედებისთვის მათ სტატუსს გახდის მიმზიდველს.

***– თქვენს 8 შვილის მშობელ მეუღლეს რაიმე უპირატესობა, რაიმე დაფასება თუ ჰქონია სახელმწიფოსგან?***

– არა. არასოდეს ყოფილა მიზანმიმართული პროექტები მრავალშვილიანთა ხელშეწყობის მიზნით. იშვიათად თუ მახსენდება, ისიც შევარდნაძის ეპოქაში, მესამე და მეოთხე შვილებზე ერთჯერადი დახმარება გაიცემოდა ხოლმე 400 ლარის ოდენობით ნაციონალური რეჟიმის დროს ლიბერტარიანულმა პოლიტიკამ და იდეოლოგიამ განაპირობა ის, რომ ნაცმოძრაობის აქტივისტები საპარლამენტო ტრიბუნიდან პირდაპირ გვეუბნებოდნენ, თუ არ შეგიძლიათ რჩენა, ნუ გააჩენთ, სახელმწიფო არ არის მეწველი ძროხა, სახელმწიფოს იმედზე შვილებს ნუ აჩენთო.

სახელმწიფო, რომელიც არ ზრუნავს ოჯახის სიმტკიცეზე, მის განვითარებაზე, ფაქტობრივად, არის კოლონია, რომელიც განწირულია დესუვერენიზაციისთვის.

# ნანა კაკაბაძე: „ივანიშვილს კაბელების საქმე საერთოდ არ აინტერესებს“

## „დღეს სასამართლოებში გამამართლებელი განაჩენი 36-37%-ს აღწევს“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებსა და სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებას „ახალ თაობასთან" ინტერვიუში უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე აფასებს.**

***– ქალბატონო ნანა, გვესმის შეფასებები, რომ დღეს სასამართლო არ არის დამოუკიდებელი. მოვისმინეთ ისიც, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია და საზოგადოებას საპროტესტო ტალღის აგორებისკენ უბიძგებს. რა ხდება, როგორია თქვენი შეფასებები?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ნამდვილად ვერ შეძლო ქვეყანაში ძლიერი და დემოკრატიული მმართველობის შექმნა. სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა, რეგიონში არსებული თუ დედაქალაქში შექმნილი ვითარება არის იმის შედეგი, რომ ეს ხელისუფლება ვერ შედგა, როგორც ძლიერი და დემოკრატიული მმართველობის ინსტიტუტი.

***– და ეს არის ამ ყველაფრის მიზეზი?***

– რასაკვირველია, ხელისუფლების სისუსტით ისარგებლეს იმ რევანშისტულმა ძალებმა, რომლებიც ცდილობენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ძალაუფლების უზურპაციას და არ ტოვებენ არცერთ ოდნავ სუსტ წერტილს, რომ იქ არ მოახდინონ გარკვეული საზოგადოების უკმაყოფილების აფეთქება.

***– ანუ ეს მიზანმიმართული პროცესია? ეს ვიღაცას ხელს აძლევს?***

– რასაკვირველია. ეს მიზანმიმართული ქმედებებია. დღეს, როდესაც ნაციონალურ მოძრაობას უკვირს სასამართლოს ობიექტურობა და სამართლიანობა, ეს, უბრალოდ, პარადოქსია.

***– რატომ, ობიექტურია დღეს სასამართლო?***

– იმიტომ, რომ იმ სასამართლოებთან შედარებით, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს იყო, ეს არის იდეალური სასამართლოები. თუმცა, რაც არის სტანდარტი, ამისგან ჯერ კიდევ შორს არის ჩვენი სასამართლოები. ნაციონალების დროს ნული პროცენტი იყო გამამართლებელი განაჩენი და არ არსებობდა ადამიანი, რომელიც შეძლებდა, პრობლემა სასამართლოს გზით მოეგვარებინა.

***– დღეს რამდენ პროცენტს აღწევს გამამართლებელი განაჩენები?***

– დღეს 36-37%-ია გამამართლებელი განაჩენი და, ასე თუ ისე, ხალხის მიმართ სასამართლოს დაუბრუნდა ნდობა. ნაციონალური მოძრაობის მმართველობასთან შედარებით, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია.

***– კაბელების საქმეზე რამდენად შეგიძლიათ ამის თქმა? დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იყო მოსამართლის გადაწყვეტილება? საკმაოდ სერიოზული კრიტიკა წამოვიდა.***

– თუ საქმის ადვოკატებს, დაინტერესებულ პირებს აქვთ პრეტენზიები, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება. ის პროცესი, რომელიც დღეს ხდება, საქმეების პოლიტიზება და საპროტესტო ტალღის აგორება გადაჭარბებული და მიზანმიმართული ქმედებებია!

***– რატომ არის გადაჭარბებული? ბრალდებულის მხარე მიიჩნევს, რომ უდანაშაულო ადამიანები დაისაჯნენ.***

– ის, რასაც ისინი აკეთებენ, ახლოსაც არ არის რეალობასთან. არ ეთანხმები გადაწყვეტილებას და გაასაჩივრე და დაასაბუთე, რომ ეს ასე არ იყო. აგერ არის სტრასბურგი და ვნახოთ, რა გადაწყვეტილება იქნება იქ მიღებული.

***– ჩვენ მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს იყო პირადად ბიძინა ივანიშვილის ანგარიშსწორება. ამაზე რას იტყვით?***

– უკვე მარაზმში გადავიდა ეს ყველაფერი! ბიძინა ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილი – სულ ყველაფერზე მისი გვარი ისმის. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ივანიშვილი ასეთი დეტალებით ინტერესდება. სულ სხვაა გლობალური და დიდი პოლიტიკა, რომელშიც ის ადამიანია ჩართული და სხვა არის ის, რასაც მას აბრალებენ. არა მგონია, ასეთ ნიუანსებში ერთვებოდეს ივანიშვილი. ეს არის პიარი მის წინააღმდეგ.

***– საკმაოდ მწვავე იყო ნაციონალების პროტესტი საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო საპარლამენტო უმრავლესობამ?***

– ნაციონალების პროტესტი იქნებოდა, მაშინ როდესაც მათ ჯიბეში უდევთ საკონსტიტუციო სასამართლო და ისინი პირდაპირ იძახდნენ, ამ სასამართლოს ჩვენ ვმართავთო. სააკაშვილი აცხადებდა, მე ვაკონტროლებ და ჩემიაო. მათ ეს გავლენები აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოზე და ხელისუფლება ცდილობს, ნაციონალურ მოძრაობას ჩამოართვას ეს პოლიტიკური გავლენა.

ამ სიტუაციაში ჩემთვის გასაგებია ნაციონალების აღშფოთება, რადგან ისინი ძალაუფლებას, ამ სასამართლოზე გავლენას კარგავენ. სწორედ ეს არის მათი აღშფოთების მიზეზი, თორემ სამართლიანობამ კი არ შეაწუხა. ხელისუფლებამ სწორი და უფრო სწრაფი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა დროულად მოხდეს ნაციონალების ჩამოშორება ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურიდან, რომლებზეც გავლენები აქვთ შენარჩუნებული. მათ ნამდვილად არ უნდა ჰქონოდათ იმის საშუალება, რომ დესტაბილიზაციის განცდას ქმნიდნენ ქვეყანაში!

***– დესტაბილიზაციის საფრთხე წინასაარჩევნოდ საკმაოდ მაღალიაო. ამბობენ, რომ მათ ალასანიას გუნდიც შეუერთდება, რადგან ამის კონკრეტული მიზეზი აქვთ. ამაზე რას იტყვით?***

– სწორედ ეს იყო ამ ხელისუფლების ძალიან დიდი შეცდომა, ასეთი საშუალებები რომ დაუტოვა მათ. დღეს ხელისუფლება საკუთარი არასწორი პოლიტიკის ტყვეობაშია. ეს არასწორი პოლიტიკა ამ ოთხი წლის განმავლობაში გაატარა ნაცმოძრაობის მიმართ.

***– ძალიან კრიტიკულია შეფასებები მურუსიძესთან დაკავშირებით. რამდენად სწორი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება, როდესაც მურუსიძე დააწინაურა?***

– თვითონ მურუსიძე, როგორც უარყოფითი მოსამართლე, რომელ პერიოდში შეიქმნა?! ვისმა მმართველობამ შექმნა მურუსიძე?! ნაციონალების შექმნილი სახეა და ისინი როგორღა ლაპარაკობენ მურუსიძეზე?! ან რატომ ისმის მხოლოდ მურუსიძის გვარი, როდესაც ყველა დანარჩენი მოსამართლეებიც ზუსტად იმავე დაკვეთებს ასრულებდნენ. რა განსხვავებაა მურუსიძესა და დანარჩენებს შორის? რატომ მურუსიძე და რატომ დანარჩენები არა, რომლებიც იმ სისტემას ემსახურებოდნენ?!




***– ფიქრობთ, რომ მთლიანად უნდა გაწმენდილიყო სასამართლო?***

– რასაკვირველია, სასამართლო კორპუსი მთლიანად უნდა გაწმენდილიყო და მოსულიყვნენ მიუკერძოებელი და პატიოსანი მოსამართლეები, რომ მათ არ ჰქონოდათ ის მძიმე ტვირთი, რომელიც ახლანდელ მოსამართლეებს აქვთ. რასაკვირველია, იქნება საზოგადოების უკმაყოფილება, როდესაც იმავე მოსამართლეებს ხედავს, რომლებიც უკანონო გადაწყვეტილებებს იღებდნენ

***– რატომ არაფერი გააკეთა ხელისუფლებამ ამის გამოსასწორებლად?***

– სწორედ იმიტომ, რომ იმავე ადამიანებს დღევანდელი ხელისუფლება ცუდი მიზნებისთვის იყენებს. როგორ შეიძლება, ადამიანი, რომელზეც არსებობს უამრავი კომპრომატი, სისტემაში შეინარჩუნო?! გამოდის, იმიტომ ინარჩუნებ, რომ შემდგომში შენც გამოიყენო უკანონოდ! სხვა გამართლება ამას არ აქვს.

# გია ვოლსკი: „საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი კონსტიტუციასთან შეუსაბამოა“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი კონსტიტუციასთან შეუსაბამოა.

**გია ვოლსკი:**

– პარტიაში აღნიშნულ თემაზე კონსტიტუციონალისტებთან ვისაუბრე. მაგალითად, ირაკლი კობახიძე და სხვებიც, ვინც ამ საკითხებში უფრო ღრმად არიან ჩახედული, ამბობენ, რომ რიცხვები შესაძლოა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოდის, რადგან რჩება 73 მაჟორიტარი და 77 – პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატი, მაგრამ არჩევნების შედეგების ასახვის არსი კონსტიტუციის მოთხოვნებს უპირისპირდება, არაკონსტიტუციურია და, ინიცირებული პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში, შეიძლება გასაჩივრდეს კიდეც.

მისივე შეფასებით, ე.წ. გერმანული მოდელის ინიციატივა პოლიტიკურ გაერთიანებებში შიდაანტაგონიზმის გაჩენის ელემენტსაც შეიცავს. კერძოდ, მისი თქმით, პირველი პრობლემა, რომელიც იქმნება არის ის, რომ პარტიულ სიაში მყოფი ადამიანები ანტაგონისტურად განეწყობიან მაჟორიტარების მიმართ, რომელთაც პოტენციურად მათი ადგილი უნდა დაიკავონ.

– ე.წ. შთანთქმის პრინციპი უკვე არაკონსტიტუციურია, რადგან საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ მაჟორიტარები ხვდებიან პროპორციულ სიაში. შედეგი დაიდება ისეთი, რომ მაჟორიტარული წესით კი აირჩიეს, მაგრამ მათი გვარები პარტიულ სიაში აღმოჩნდა.



ეს ნაწილი უკვე კონსტიტუციასთან მოდის შეუსაბამობაში. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ არასწორია შიდა ანტაგონიზმის გაჩენა, რადგან ადამიანი პროპორციულ სიაში იმიტომ შედის, რომ მას რაღაც მონაცემები გააჩნია და მისი მონაცემები მნიშვნელოვანია პარტიისთვის.

გამოდის, რომ ეს ადამიანი ადგილს უთმობს მაჟორიტარული სქემით გამარჯვებულ კანდიდატს. ეს სამართლებრივად მთლად გამართული საკითხი არ არის და საკამათო თემაა, – აცხადებს ვოლსკი.

საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი პარლამენტს ფრაქცია „რესპუბლიკელებმა“ წარუდგინეს. „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი განმარტავს, შეთავაზებული საარჩევნო სისტემის მიხედვით, იქნება როგორც პროპორციული საარჩევნო სია, ასევე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები, მაგრამ რამდენი მაჟორიტარული ოლქიც არ უნდა მოიგოს პარტიამ, ის არ გაზრდის იმ მანდატების რაოდენობას, რაც მას სიით ეკუთვნის.

– თუკი პარტია პარლამენტის 150 მანდატიდან 15 მანდატს მიიღებს, ის 15 მანდატს მიიღებს იმ შემთხვევაში მისი სამი მაჟორიტარი მოიგებს, 10 – მაჟორიტარი თუ ვერც ერთი. სამი მაჟორიტარული მანდატის მოგების შემთხვევაში – 12 კაცი იქნება სიის პირველი 12 კანდიდატი და სამი იქნება მაჟორიტარი;

ხუთი მაჟორიტარული მანდატის შემთხვევაში, 10 იქნება სიით და ხუთი იქნება მაჟორიტარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამომრჩევლის მიერ დადგენილი პროპორციულობა დაცული იქნება, ხოლო პარტიებში იქნება სია, რომელშიც ცვლილებებს თავად ამომრჩეველი შეიტანს. თუკი პარტიას ისეთი მაგარი კანდიდატი ჰყავს, რომლის კანდიდატი ამა თუ იმ ოლქს მოიგებს, რა თქმა უნდა, მას მანდატი გარანტირებული ექნება და სიიდან ის გამოაგდებს პარტიის მიერ რანჟირებულ ადამიანს, რომელიც სიაში მასზე წინ ეწერა. ეს ასეა გერმანიაში, – განმარტავს დავით ბერძენიშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# პარლამენტი ახალ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე მუშაობს



პარლამენტი ახალ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე მუშაობს. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, დემოგრაფიული პოლიტიკა ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

მისი ინფორმაციით, მიმდინარეობს ერის აქტიური დაბერების პროცესი – ხანდაზმულთა რაოდენობა ბავშვთა რაოდენობას აჭარბებს, თუმცა, ხუნდაძის განმარტებით, ეს დემოგრაფიული გარდაქმნის გარდაუვალი პროცესია, რომელსაც სწორი მართვა სჭირდება.

**დიმიტრი ხუნდაძე:**

– ჩვენ დავიწყეთ ორ დოკუმენტზე მუშაობა – ერთი არის სახელმწიფო დემოგრაფიული უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელიც უახლოეს პერიოდში წარედგინება პარლამენტს და დადგენილების პროექტი „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

მან დეპუტატებს დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტებზე დეტალური ინფორმაცია გააცნო. ხუნდაძემ მიგრაციის პროცესზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქვეყანაში ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია.

„1.500.000 მოქალაქე ქვეყნიდანაა გასული, ასევე მძლავრია შიდა მიგრაცია, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. თბილისიზაცია“, – აღნიშნა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ.

დიმიტრი ხუნდაძის ინფორმაციით, დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელ სეგმენტზე – დაბერების პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა კომიტეტმა 2014 წელს დაიწყო.

მისი შეფასებით, ეს არის ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ხანდაზმულთა მიმართ. აქვე კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია იმდენი საპენსიო გასაცემელი, რამდენიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს, რაც მან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შობადობის მაღალი მაჩვენებლების არსებობით ახსნა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საქართველოში ოქროს ნაწარმი გაიაფდა



მსოფლიო ბაზარზე ანალიტიკოსები მომავალი 3 წლის განმავლობაში ოქროზე ფასის 10-15%-ით გაზრდას ელოდებიან.

თუმცა, ბოლო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში ოქროს ნაწარმზე ფასები შემცირდა.

როგორც ძვირფასი ქვებისა და ლითონების ექსპერტი თამაზ გულედანი აღნიშნავს, მიუხედავად ოქროს გაიაფებისა, საქართველოში კეთილშობილი ლითონის რეალიზაცია მაინც შემცირებულია.

– ოქროს ნაწარმი მართლაც გაიაფდა: ყველაზე სუფთა, 999 სინჯის ოქრო 4-5 თვის წინ თუ ღირდა 98 ლარი, დღეს 92 ლარი ღირს. 916 სინჯის ოქრო ღირდა 76 ლარი, ახლა კი 72 ლარია. 750 სინჯის ოქროს ფასი 67 ლარი იყო, ახლა 62 ლარია. 1 გრამი 585 სინჯის ოქროს ფასი 55 ლარი გახლდათ, დღეს კი 50-51 ლარად იყიდება. 4-5 თვის წინ 375 სინჯის ოქრო ღირდა 28 ლარი, ახლა კი 22 ლარი ღირს, – აღნიშნა თამაზ გულედანმა.

მისი თქმით, ეკონომიკურმა კრიზისებმა დიდი გავლენა მოახდინა ოქროს ბიზნესზე: ძვირდება პირველადი მოხმარების საგნები, მედიკამენტები და ისეთი პროდუქცია, რომელიც აუცილებელია არსებობისთვის, ამიტომ ოქროს რეალიზაცია შემცირდა და ბიზნესსაც გაუჭირდა.

– 2010-2011 წლებში ამ ბაზარზე უფრო კარგი მდგომარეობა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი დაიჭირეს, საზღვრებზე ართმევდნენ არაოფიციალურ ოქროს ნაწარმს და სჯიდნენ, მაგრამ მუშაობა მაინც იყო – ოქრო ჩვენგანაც გაჰქონდათ და სხვა ქვეყნებიდანაც შემოჰქონდათ, – განაცხადა ექსპერტმა.

ის ამბობს, რომ დღეს ყველაზე დიდი რაოდენობით ოქრო ჩვენთან თურქეთიდან შემოდის, თუმცა სხვა ქვეყნების წილიც მაღალია.

– ძირითადად ჩვენი მეზობელი თურქეთი აქტიურობს, თუმცა ოქრო შემოდის ირანიდან, შუა აზიიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდანაც. როდესაც აზერბაიჯანული მანათის კურსი ძალიან დაეცა, ამ ქვეყნიდან საქართველოში დიდი რაოდენობით ოქროს ნაწარმი შემოვიდა. ქვეყანაში კრიზისი იყო და ხალხი ოქროს სამკაულებს ყიდდა.

ძირითადად სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის იტალიიდან და თურქეთიდან შემოტანილი ოქრო სჭარბობს. ხალხში გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ ძველებური, ე.წ. რუსული ოქრო ხარისხიანია, თურქული, ან იტალიური კი უხარისხო. ოქროს ხარისხი მის სინჯზეა დამოკიდებული. ყველაზე სუფთა 999 სინჯის ოქროა, რომელიც საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად გამოიყენება, – აღნიშნა თამაზ გულედანმა.

ქართულ ბაზარზე ეს ოქრო არსებობს, მისი შეძენა პრობლემა არ არის. შეიძლება ზოდების სახითაც შეგხვდეთ და მისი ყიდვა ჩვეულებრივ ადამიანსაც შეუძლია.

– ოქრომჭედლები ამ სინჯის ოქროს სხვა მინარევებს ურევენ, ძირითადად, სპილენძს, თუთიას, ან სხვა ლითონს და სხვადასხვა ნაკეთობას ამზადებენ. ასე ჩნდება ბაზარზე სხვადასხვა სინჯის ოქრო. რაც უფრო მაღალია სინჯი, მასში სუფთა ოქრო უფრო დიდი რაოდენობითაა, – განმარტა ექსპერტმა.

* * *

ოქროსბირჟა გეს ადმინისტრატორ ლადო ქურდაძის თქმით, ოქროს გაიაფების ტენდენცია დოლარის გაიაფებამ გამოიწვია.

– 5-6 ლარით ყველა სინჯის ოქრო გაიაფდა. გაიაფდა საბჭოთა პერიოდის, ე.წ. რუსული ოქროც, თურქულიც და იტალიურიც. სხვა ფაქტორებთან ერთად ეს პროცესი დოლარის კურსის დაწევამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მოვაჭრეები გაიაფებას რეალიზაციის შემცირებით ხსნიან, ლარის გამყარებამაც იქონია სერიოზული გავლენა ოქროს ფასზე. ოქროს რეალიზაცია მარტო ჩვენთან კი არა, მსოფლიო ბაზარზეც შემცირდა, – ამბობს ლადო ქურდაძე.

ოქროს ბაზარზე არსებულ კრიზისზე ჩივიან ოქროთი მოვაჭრეები. მათ თქმით, რეალიზაცია იმდენად შემცირდა, რომ ზოგიერთ მოვაჭრეს ადგილის ფულის გადახდაც კი უჭირს.

ოქროთი მოვაჭრე ნინო კილაძე ამბობს, რომ ტრადიციულად, საქორწინო ბეჭდები და ჯვრები იყიდება, რომლებსაც ნათლობისთვის ყიდულობენ.

– მათ გარეშე ვერ ვიმუშავებდით. ასევე კარგად გვეყიდება დაბალი ხარისხის პროდუქცია, დაახლოებით, 80-100 ლარის ფარგლებში. ასეთი სამკაული გარეგნულად ლამაზია, მაგრამ მასში ოქროს შემცველობა დაბალია, ძირითადად, სხვა ლითონები სჭარბობს და მხოლოდ ზემოდან არის მოოქროვილი.

ისევ პოპულარულია საბჭოთა პერიოდის, ძველებური ოქრო, რომელიც გაჭირვების დროს ხალხს სახლიდან გამოაქვს და შედარებით იაფად გვაბარებს, – აცხადებს ნინო კილაძე.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ქართული თაფლი ევროკავშირის ბაზარზე გავა

## იანოშ ჰერმანი: ”ეს ყველაზე ტკბილი ახალი ამბავია”





ევროკომისიის სურსათის უვნებლობის დირექტორატმა რეკომენდაციით მიმართა ევროკომისიას, საქართველო მოხვდეს იმ ნუსხაში, საიდანაც შეიძლება თაფლის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში.

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ჟურნალისტებს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, იანოშ ჰერმანთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

ოთარ დანელიამ აღნიშნა, რომ იანოშ ჰერმანი არის ჩვენი ქვეყნის ძლიერი ქომაგი ევროკავშირში და მას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– ჩვენ გვაქვს ძალიან სასიხარულო ინფორმაცია. ევროკომისიის სურსათის უვნებლობის დირექტორატმა დადებითად შეაფასა სოფლის მეურნეობის სფეროში ბოლო 2 წლის მანძილზე გატარებული რეფორმები, რომელიც დაკავშირებულია მეფუტკრეობასთან, თაფლის წარმოებასთან და მიმართა რეკომენდაციით კომისიას, რათა საქართველო მოხვდეს იმ ნუსხაში, საიდანაც შეიძლება თაფლის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში.

ეს არის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია. დარჩენილია მხოლოდ სტანდარტული პროცედურები, რომელთაც, იმედია, ძალიან მალე გავივლით. ჩვენ გვქონდა ეს იმედი, რომ გავიდოდით ჩვენი ხარისხიანი, ძალიან მაღალი მოთხოვნის მქონე თაფლით ევროკავშირის ქვეყნებში, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მეფუტკრეობის მიმართულებით გატარდა კომპლექსური ღონისძიებები, დაწყებული ლაბორატორიული ინსტრუმენტებით, ახალი ინფრასტრუქტურით, დამთავრებული დაავადების კვლევებითა და კოოპერირების ხელშეწყობით.

– ამიტომ ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო და ჩვენ ეს დაფასება ძალიან გვიხარია, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

იანოშ ჰერმანის თქმით, სოფლის მეურნეობის მინისტრთან საინტერესო შეხვედრა გაიმართა, სადაც ისაუბრეს თაფლის ექსპორტის საკითხებზე ევროკავშირის ბაზარზე.

– ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შემდეგ საქართველოს პირველად აქვს შესაძლებლობა, ქართული თაფლი გავიდეს ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე.

ეს არის დიდი შრომის შედეგი საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის. მე მინდა გითხრათ, რომ ეს არის ყველაზე ტკბილი ახალი ამბავი, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში გაცნობეთ, – აღნიშნა ელჩმა.

# ქართული გეფერინის ჩანთები მანჰეტენზე გაიყიდება

## ფასები 199-დან 999 დოლარამდეა

ჩანთების მწარმოებელი ქართული ბრენდის „გეფერინის“ პროდუქცია მანჰეტენზე გაიყიდება.

როგორც კომპანიის დამფუძნებელი ილია გეფერიძე რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროდუქცია უკვე გაგზავნილია და ორ კვირაში აქტიური გაყიდვები დაიწყება.

პარალელურად კი კომპანიის ონლაინ მაღაზიაც ამოქმედდება, რომელიც უკვე მზად პროდუქციაზე გაუმჯობესებულია. ფასები კი 199-დან 999 დოლარამდეა, – განმარტავს გეფერიძე.

მისივე თქმით, ბრენდის პოპულარობისთვის დაგეგმილია სპეციალური კამპანიები, სოციალურ ქსელებში სპეციალური გვერდიც შეიქმნა, დაიგეგმება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან იმისთვის, რომ „გეფერინის“ ბრენდის შესახებ გავრცელდეს ინფორმაცია.

საქართველოს გარდა,



არის და მონაცემების აქტირთვის პროცესშია. გეფერიძე ამბობს, რომ გაყიდვებია დაგეგმილი მობილური აპლიკაციის მეშვეობითაც, რომელზეც ასევე მიმდინარეობს მუშაობა.

ილია გეფერიძის ინფორმაციით, ქართული ჩანთები მანჰეტენზე რამდენიმე ბუტიკში გაიყიდება. მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის პრემიუმ-კლასის კოლექცია გაიგზავნა, რომელიც საქართველოში ვერ იყიდება.

– პროდუქცია იტალიური ტყავით არის დამზადებული, გამოყენებულია იტალიური აქსესუარები, ხარისხი ადგილობრივ ბაზარზე არსებულ „გეფერინის“ ჩანთები ამ ეტაპზე რუსეთში იყიდება, მიმდინარეობს მოლაპარაკებები უკრაინასთან. ადგილობრივ ბაზარზე კი კომპანია რეგიონებში გასვლას გეგმავს.

„გეფერინი“ ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ჩანთებს, ასევე სამაჯურებს აწარმოებს, კომპანიამ სამგზავრო ჩანთების წარმოებაც დაიწყო. ფასები 23 ლარიდან 360 ლარამდე მერყეობს.

კომპანია 2014 წელსაა დაფუძნებული, ამჟამად 6 მაღაზია – საქართველოში, ერთი კი მოსკოვშია გახსნილი.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# სტარტაპები 11 მილიონით დაფინანსდება




11-მილიონიანი ბიუჯეტით ახალ ბიზნეს და ინოვაციურ იდეებს საპარტნიორო ფონდი და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო დააფინანსებს.

პროგრამის ფრონტ-ოფისი ტექნოპარკის შენობაში განლაგდება.

როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში ბიპიენს განუცხადეს, სტარტაპების დაფინანსების პროგრამა ივნისიდან დაიწყება.

– ივნისშივე გამოცხადდება პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია, საიტზე კი განთავსდება სარეგისტრაციო ფორმები. პროექტზე, ჯამში, 11 მილიონი ლარია გამოყოფილი. ,,ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ ,,საპარტნიორო ფონდთან“ ერთად მუშაობს. პროგრამა სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება, – განმარტეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში.

სააგენტოს ინფორმაციით, იდეის ავტორის თანადაფინანსება იქნება მინიმუმ 10%-იანი, იდეა კი შეფასდება 40%-იან წილად. შესაბამისად, ბენეფიციარი სტარტაპ კომპანიაში, სულ მცირე, 50%-იანი წილის მფლობელი გახდება. შემდგომში კი ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება, გამოისყიდოს ფონდის წილი შეღავათიანი პირობებით ან მოიძიოს სხვა ინვესტორები.

სააგენტოს ცნობითვე, უნიკალური ინოვაციური იდეის შემთხვევაში, ბენეფიციარს აღარ მოეთხოვება პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში იქნება 95%, ხოლო ფონდის მხრიდან პროექტი 100 ათას ლარამდე დაფინანსდება.

დამწყები ბიზნესმენები და ასევე ინოვაციური და ტექნოლოგიური ბიზნესი მიიღებენ დაფინანსებას პირადი ქონების უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციარებისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებასა და საკონსულტაციო მომსახურებას.

სააგენტოში განმარტავენ, რომ პროექტების შერჩევა კონკურსის წესით მოხდება. პროგრამაში მონაწილეობის უფლება მიეცემა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქე პირს ან პირთა ჯგუფს.

პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შემდგომში 35 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**



# ადვოკატი: „ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულებმა თავადაც კარგად იციან, რომ ტყვეობაში იმყოფებიან“



– ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულები მხნედ არიან, თავადაც კარგად იციან, რომ ტყვეობაში იმყოფებიან და უკანონოდ არიან დაკავებულები, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მსჯავრდებულთა ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა, რომელმაც გუშინ გლდანის მერვე დაწესებულებაში მსჯავრდებულები მოინახულა.

**ლევან სამუშია:**

– ყველა ერთხმად აღნიშნავს და უკვირს, რომ მოსამართლე ბუგიანიშვილს უფრო მეტად აინტერესებს, რას დაუწერს პროკურატურა. ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა ისიც კი მითხრა, იმედია, წაიკითხავს მაინც და ისე მოაწერს ხოლმე ხელს პროკურატურის მიერ დაწერილ განაჩენს, რომ საკუთარი თავისთვის საფრთხის შემცველზე არ მოაწერინონ ხელიო. დარწმუნებულები არიან, რომ, საბოლოო ჯამში, ამ საქმეზე სამართალი იზეიმებს.

**ინტერპრესნიუსი**

# სააკაშვილი ლიბერალურ გაერთიანებას აყალიბებს

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში ისევ დიდი მითქმა-მოთქმაა ლიბერალური ძალების ნაციონალური მოძრაობის გარშემო მოსალოდნელი გაერთიანების თაობაზე. ვრცელდება ინფორმაცია იმაზეც, რომ ეს ძალები ერთად გააპროტესტებენ არჩევნების შედეგებს.**

**როგორც ირკვევა, ლიბერალური ძალების შეკრება ნაცმოძრაობის ლიდერის აქტიური მონაწილეობით უკრაინაშიც იგეგმება.**

უკრაინული წყაროები ავრცელებენ კულუარულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორი აქტიურადაა ჩართული მოლაპარაკებებში ლიბერალური მიმართულების ახალი პოლიტიკური პროექტის რეალიზაციისთვის.

მასში, პარტია დემოკრატიული ალიანსის, „ადამიანების ძალისა" და სხვების გარდა, მონაწილეობენ პეტრო პოროშენკოს ბლოკის დეპუტატები მუსტაფა ნაიემი და ვიქტორ ჩუმაკი.

ლიბერალური გაერთიანება აქამდეც უნდა შექმნილიყო, მაგრამ ამას აბრკოლებდა სტრუქტურული გაურკვევლობა. არ არის დადგენილი, რომელი პარტიის გარშემო მოხდება ეს გაერთიანება და რომელი პარტია უნდა გაუქმდეს ამ პროცესში.

ამასთან, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სააკაშვილი გაერთიანების შემდეგ დამოუკიდებელ თამაშს წამოიწყებს. საუბარია იმაზეც, რომ ლიბერალურ ალიანსამდე ოდესის გუბერნატორი უკრაინაში საკუთარ პარტიას ჩამოაყალიბებს.

პარტიას უკრაინაში მყოფი და თანამდებობიდან გათავისუფლებული დავით საყვარელიძეც ქმნის. იქნება თუ არა საყვარელიძის პარტია დაკავშირებული მიხეილ სააკაშვილის სახელთან, უცნობია.

უკრაინის ახალმა პროკურორმა იური ლუცენკომ გამორიცხა დავით საყვარელიძის დაბრუნება უკრაინის მთავარ პროკურატურაში.

– დავით საყვარელიძემ პოლიტიკა აირჩია და მას პროკურატურაში მუშაობა შეუძლია მხოლოდ დამკვირვებელთა საბჭოში, – განმარტა პროკურორმა.




სააკაშვილის გუნდი მკვეთრად იყო დაპირისპირებული წინა მთავარ პროკურორთან, თუმცა, მისი წევრები კრიტიკას არც ახალ პროკურორს აკლებენ. მაგალითად, სააკაშვილის მრჩეველი ალექსანდრ ბოროვიკი აცხადებს, რომ უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მთავარ პროკურორს არ გააჩნია შესაბამისი განათლება.

სააკაშვილის გუნდს პრობლემები არ ელევა. მალე ოდესის გუბერნატორი კიდევ ერთი მოადგილის გარეშე დარჩება. სააკაშვილის მოადგილე სოლომია ბობროვსკაია ამ თანამდებობაზე პირდაპირ მრჩევლობიდან, კონკურსის გარეშე დაინიშნა. ამის თაობაზე წერილი მინისტრთა კაბინეტიდან ოდესის ოლქის ადმინისტრაციაში ახლა შევიდა.

როგორც ირკვევა, ასევე დარღვევებით იყვნენ დანიშნული სააკაშვილის ყოფილი მოადგილეები ბორივიკი და გაიდარი. მათ თანამდებობა სხვა საბაბით, ორმაგი მოქალაქეობის გამო დაატოვებინეს.

ამ დღეებში სააკაშვილის გუნდი კორუფციაშიც დაადანაშაულეს. ოდესის ოლქის ადმინისტრაციასთან გაიმართა გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია, რომელზეც კომპანია olsidzbleq si-ს თანამშრომლებმა მიწის ნაკვეთის უსამართლოდ გასხვისება გააპროტესტეს.

მათი მტკიცებით, ოდესის ოლქის ჩინოსნებმა ქრთამის სანაცვლოდ მიწა მიჰყიდეს გაკოტრებულ კომპანიას და დაბრკოლება შეუქმნეს წარმატებულ olsidbleq si-ს, რომელშიც შვეიცარული ინვესტიციაა ჩადებული. აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ტყუილი აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის დაპირება ყოველი ინვესტორის დაცვის შესახებ.

აქციები ამ თემაზე გაგრძელდება.

# „საქართველო — ნაწილებად დაჭრილი სამოთხე"

**ქვეყანა, სადაც უამრავი წიგნი იწერება, ბევრი ჭკვიანი ქალია და რომელიც ევროპისაკენ მიილტვის: მოგზაურობა ჩვენი სამყაროს განაპირა ზღაპრულ ქვეყანაში.**

**გერმანულ გამოცემა „Die Welt"-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია საქართველოს ისტორიასა და მის დღევანდელობაზე, ქართულ კულტურაზე, ქართველი მწერალი ქალების შემოქმედებაზე (ავტორი – ჰანა ლიუმანი).**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:**

– ქართველ ქალებზე უსასრულოდ შეიძლება ისაუბრო: ისინი ინსტიტუტებისა და მუზეუმების დირექტორები არიან, კინომცოდნეები, თარჯიმნები და მწერლები. თვითონ საქართველოს კი ხშირად კავკასიის მითიურ ქვეყანა კოლხიდას უწოდებენ. კავკასიის მთებში, როგორც ამბობენ, დღემდე, მდინარეებში ოქროს, ტყავის მეშვეობით მოიპოვებენ. ეს ის ოქროს ვერძია, რომლისთვისაც კოლხიდაში ბერძენი იასონი ჩავიდა და მედეა საბერძნეთში წაიყვანა. ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი კი საქართველოს ზღაპრულ ქვეყანად" მიიჩნევდა. მან კავკასიაში გასული საუკუნის დასაწყისში იმოგზაურა. „მართლაცდა, საქართველო ზღაპრული ქვეყანაა", – აღნიშნულია სტატიაში.

ავტორი იქვე აცნობს გერმანელ მკითხველს, რომ საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით, მონაწილეობას მიიღებს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში, რომელიც 2018 წელს უნდა გაიმართოს.

პუბლიკაციაში საუბარია აგრეთვე იოსებ სტალინზე, გორში არსებულ სახლ-მუზეუმზე: „საქართველოში იმ ადამიანის სახლ-მუზეუმია, რომელმაც ქვეყანას ბევრი უბედურება მოუტანა. აქაა მისი ნახატები, ტანსაცმელი, ჩექმები, და სიგარები, რომელიც მას უინსტონ ჩერჩილმა აჩუქა. ეზოში ძველი, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროინდელი რკინიგზის ვაგონი დგას, რომლითაც იოსებ სტალინი გადაადგილდებოდა ევროპაში. როგორც ცნობილია, მას ფრენის მიმართ შიში ჰქონდა. მუზეუმი 1957 წლიდან არსებობს, ანუ ის იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან მეოთხე წელს გაიხსნა (აქ ავტორი სცდება: მუზეუმი 1937 წელს დაარსდა – მთარგმ.შენიშვნა). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუზეუმი მცირე ხნის განმავლობაში არ მუშაობდა, შემდეგ ისევ გაიხსნა და ამჟამად მოსახლეობასა და უცხოელ ტურისტებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მუზეუმში არის აგრეთვე ექსპოზიცია სტალინიზმის მსხვერპლთა შესახებ.

ავტორის აზრით, საქართველო, რომელსაც შეიძლება ნახევრად დემოკრატიული ქვეყანა ეწოდოს, შესამჩნევ აღმავლობას განიცდის. სტატიაში ჩამოთვლილია ქართველი მოდელებისა და მომღერლების წარმატებები საზღვარგარეთ (მაგალითად, ევროვიზიის კონკურსზე). მასში აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია კორუფციასთან ბრძოლაში. გარდა ამისა, მიმდინარეობს მსჯელობა პარლამენტში ქალების რაოდენობის კვოტირებაზე, თუმცა, რასაკვირველია, საქართველოში ბევრი ქალი მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე არიან დანიშნულნი.

ახლოვდება ტურისტული სეზონი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა. აქ საბჭოური არქიტექტურის მქონე ბევრი შენობაა შემორჩენილი, არის მთის მშვენიერი, თვალწარმტაცი პეიზაჟები, კავკასიის მარადწლოვანი თოვლით დაფარული მწვერვალები, მწვანე ხეობები, პალმები და ზღვისპირა კურორტები, უძველესი ეკლესია-მონასტრები. საქართველოს ოფიციალურ შენონებზე ყველგან ევროკავშირის დროშა ფრიალებს – ქართველები უვიზო რეჟიმის მიღებას ელოდებიან. საწყენია, რომ ევროპა საკითხის საბოლოო გადაწყვეტას აჭიანურებს.

საქართველოს რუსეთის მიმართ შიშის საფუძველი ნამდვილად აქვს. დღეს რუსეთში ვლადიმირ პუტინი თითქმის საქართველოში დაბადებულ იმ ადამიანს ასახიერებს, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ბელადი იყო. შესაძლებელია მან თავისი ექსპანსიური მიზნები კვლავ განახორციელოს. საქართველო ბავარიის ტოლი სახელმწიფოა, მას მუდმივად ესხმოდნენ თავს თურქები და სპარსელები, მოგვიანებით კი რუსეთი დაუმეზობლდა და საბოლოოდ მის შემადგენლობაში შევიდა. ხანმოკლე სამწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველო 1921 წელს კვლავ რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა და მისი ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა.

თუ საქართველოს გუგლის რუკაზე შევხედავთ, ჩრდილო-დასავლეთით და ქვეყნის ცენტრში, გორთან ახლოს, პუნქტირებს დავინახავთ, რომლითაც სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებია მონიშნული. ეს „დამოუკიდებელი რესპუბლიკები" რუსეთს ესაზღვრებიან. მოსკოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები 2008 წელს დაიკავა. აქ ინციდენტები თითქმის ყოველდღე ხდება. რუსეთი ნელ-ნელა იკავებს საქართველოს ტერიტორიას, „მცოცავი აგრესიის" სახით.

ავტორი მოიხსენიებს ქართველ მწერალ ქალს ნინო ხარატიშვილს, რომელიც შეიძლება



უკვე გერმანელ მწერლადაც ჩაითვალოს, რადგან ბავშვობიდან გერმანიაში ცხოვრობს. მისი ნაწარმოები „მერვე სიცოცხლე" საქართველოში მეოცე საუკუნის 90-იან წლებში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს ეხება.

კიდევ ერთი თბილისელი მწერალი ქალი, რომლის შესახებაც სტატიაშია საუბარი, ანა კორძაია-სამადაშვილია. „ჩვენ 2004 წლის „ვარდების რევოლუციის" შესახებ ვსაუბრობთ, რომლის შედეგად საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა. „ვარდების რევოლუცია" – რომანტიკულად ჟღერს! ამ რევოლუციის დროს ერთი წვეთი სისხლიც კი არ დაღვრილა... თუმცა საქართველოში ხშირად ყველაფერს ძალიან იოლად ივიწყებენ, – ამბობს ანა კორძაია-სამადაშვილი.

**ნიუსპრესი**

# ამერიკული პრესა: „რატომ და როგორ გააქტიურდნენ საქართველოში პრორუსული ძალები?"

**– საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები მუდმივად ხაზს უსვამენ საქართველოს დასავლური კურსისადმი განუხრელ ერთგულებას. ამის მიუხედავად, ყოველდღიურ რიტორიკაში მუდმივი საჭიროება დგება, ამ ერთგულების შესახებ კიდევ მორიგად იყოს აღნიშნული. ვის და რატომ შეაქვს ეჭვი ხელისუფლების ორიენტაციაში, რა ქმნის ამგვარი უნდობლობის საფუძველს, რა ფაქტორები უწყობს ხელს ამ საფუძვლის გამყარებას და ვის წისქვილზე ასხამს წყალს მყიფე არჩევანის მქონე ქვეყნის იმიჯი? – ამ თემაზე ყურადღებას ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America" ამახვილებს.**

ქვეყანას შეიძლება შეექმნას სერიოზული საფრთხე, სადაც შეიძლება დაზიანდეს და დაიღუპონ სხვისი შვილები. აქედან გამომდინარე, უზნეოა ჩემთვის ყველა თანამდებობის პირი, რომელიც მოუწოდებს სხვას საბრძოლველად, ან ირიბად მიანიშნებს აქეთ, მაგრამ თვითონ გახიზნული ჰყავს თავისი შვილები. ნატოში შესვლას მე ამ მოცემულობით მხარს არ ვუჭერ, იმიტომ, რომ დღევანდელი მოცემულობით არავინ არ მიგვიღებს ამ პრობლემებიანად, თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანუ სამაჩაბლოს დაბრუნებაზე, – ეს უმრავლესობის დეპუტატის თამაზ მეჭიაურის განცხადებაა, რომელიც მან ორიოდე დღის წინ გააკეთა. იგი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ოფიციალურად გაცხადებულ პრიორიტეტებთან. ამის მიუხედავად, თამაზ მეჭიაური უმრავლესობაში რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამაზ მეჭიაური ერთადერთი ოფიციალური პირი არაა, ვინ აჟღერებს ზუსტად ისეთ მოსაზრებებს, რაც საქართველოს ოკუპანტი ქვეყნის რუსეთის ინტერესებთან თანხვედრაშია. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობს: „გუნდში არ იქნებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ რაიმე ეჭვები საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ვექტორთან მიმართებით".




„ამერიკის ხმასთან" გიორგი ტუღუშმა, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" ხელმძღვანელმა ისაუბრა. იგი ასახელებს იმ ფაქტებს, რომლებიც საქართველოს ოფიციოზის ორიენტაციის სიმყიფეს განაპირობებს.

– თავდაპირველად, ამ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უნდა დაელაგებინა ურთიერთობა რუსეთთან და ამისთვის გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, რომელთა დიდ ნაწილს მივიჩნევდით საქართველოს ინტერესებისთვის საზიანოდ. ამას მოჰყვა ისიც, რომ გარკვეული პრორუსული ძალები საქართველოში გააქტიურდნენ და გაცილებით უფრო თავისუფლად იგრძნეს თავი. ყველაფერი დაიწყო, ზოგადად, ჯაშუშების განთავისუფლებით, როდესაც რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის დაკავებული პირები გამოუშვეს ციხიდან, როგორც პოლიტპატიმრები. ამას მომდევნო პერიოდში დაემატა ახალი ხელისუფლების განსხვავებული მიდგომა თუნდაც იმ კონკრეტული ჯგუფების და ძალების მიმართ, რომლებიც საქართველოში ღიად ეწევიან რუსულ პროპაგანდას და და ემსახურებიან რუსულ ინტერესებს. ეს შეიძლება იყოს როგორც ცალკეული პოლიტიკოსები და პარტიები, ასევე ცალკეული მედიასაშუალებები. ერთ-ერთ კვლევის შედეგად, რომელიც მედიის განვითარების ფონდმა ჩაატარა, ცნობილი გახდა რამდენიმე კონტრაქტი, როდესაც ხელისუფლება გარკვეულ ხელშეკრულებებს უფორმებდა ღიად პრორუსულ მედიასაშუალებებს. გარდა ამისა, ეს არ არის მხოლოდ პრორუსული მედიასაშუალებები, არამედ ზოგადად ეს გახლავთ ქსენოფობიური მედია, რომელიც ეწევა გარკვეული ჯგუფების პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას საკუთარი ეთერიდან.

პრობლემა ის არის, რომ ამ ხელისუფლებას არ გააჩნია ერთიანი ხედვა, ამიტომაც უწევს მუდმივად თავის მართლების რეჟიმში ყოფნა. მასში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პარტიები. თავდაპირველად იქ მოხვდნენ პროდასავლური ძალებიც და ისინიც, ვინც ღიად ახმოვანებენ რუსეთის ინტერესებს. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების გარკვეული ნაწილი ხვდება, რომ ქართველ საზოგადოებას მყარად აქვს გაკეთებული არჩევანი და ესაა ცალსახად დასავლური არჩევანი და არა რუსული. ჩემი აზრით, საზოგადოების არჩევანი რომ არ იყოს ასეთი მყარი, ხელისუფლება გაცილებით შორს წავიდოდა და იმის მტკიცებასაც აღარ დაიწყებდა, რომ მისი კურსი დასავლურია.

ის, რომ მოქმედების სივრცე პრორუსული ძალებისთვის სრულებით ღია და თავისუფალია და რომ ხელისუფლება ამ თვალსაზრისით სრულ სიმშვიდესა და უმოქმედობას ინარჩუნებს, 9 მაისმაც აჩვენა. პრორუსულმა ძალებმა არა მხოლოდ საკუთარი თავის დემონსტრირება მოახდინეს აქციებზე, არამედ მოახერხეს კონსოლიდირებაც საბჭოური წარსულისადმი სენტიმენტებით განმსჭვალული ადამიანების ჩართულობით. ძველი კომუნისტური პარტია და ევრაზიული კავშირი ახლა უკვე ალიანსში არიან და არჩევნებისთვის ერთიანი კანდიდატების შერჩევით არიან დაკავებულები. 2016 წლის პარლამენტი უნიკალური, ალბათ, იმით იქნება, რომ იქ ღიად პრორუსულ ძალებს ვიხილავთ.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ისლამისტმა ექსტრემისტებმა ერაყში ტერიტორიის მესამედი დაკარგეს




პენტაგონის სპეციალურმა წარმომადგენელმა ერაყში პეტერ კუჰმა განაცხადა, რომ ანტიტერორისტული კოალიციის ოპერაცია ისლამისტების წინააღმდეგ წარმატებით მიმდინარეობს. ტერორისტებს უდიდესი დარტყმები მიაყენეს.

— ერაყში ისლამურმა სახელმწიფომ დაკავებული ტერიტორიის 45 პროცენტი უკვე დაკარგა, — თქვა კუჰმა.

რაც შეეხება სირიას, აქ ტერორისტებმა უკვე ტერიტორიის 30 პროცენტი დაკარგეს. დღეისათვის ისლამისტები ველარ აკონტროლებენ იმ ადგილებს, სადაც ნავთობის მოპოვება ხდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ზედმეტ წონასთან ბრძოლის აქტივისტი გარდაიცვალა



ამერიკის მისურის შტატში გარდაიცვალა ზედმეტ წონასთან ბრძოლის ონლაინ-აქტივისტი ლარი ევანსი, რომლის წონა 360 კილოგრამს შეადგენდა.

ევანსმა სოციალური ქსელების მომხმარებლებს შორის პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, როდესაც გადაწყვიტა, რომ ორ წელიწადში 70 კილოგრამი დაეკლო წონაში. საკუთარ წარმატებებს, ვარჯიშების გეგმას და დიეტას მამაკაცი ფეისბუქში ხელისმომწერებსა და მეგობრებს უზიარებდა. მისი ვარჯიშის ამსახველი ვიდეოჩანაწერები 30 ათასზე მეტ ნახვას აგროვებდა.

ევანსის მწვრთნელის კრის ბუფის თქმით, მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ცდილობდა სიმსუქნე მთელ მსოფლიოში დაემარცხებინა და ეს საკუთარი თავით დაიწყო.

— ლარიმ საკუთარი ცხოვრება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა, რათა ამით გარშემომყოფებისთვის სპორტით დაკავებისკენ ებიძგა, — განაცხადა ბუფმა.

ევანსის ბოლო ვარჯიშმა, რომელიც მის გვერდზე მისმა მწვრთნელმა განათავსა, 27,8 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჩინელმა იდაყვებზე დგომაში რეკორდი დაამყარა



ჩინელმა მაო ვეიდუნგმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ვარჯიშში „თამასა“. იდაყვებსა და ფეხის წვერებზე დაყრდნობით სპორტსმენმა რვა საათი და ერთი წუთი გაძლო. რეკორდი ჩინეთის დედაქალაქ პეკინში დამყარდა.

საკუთარი გამარჯვება ვეიდუნგმა იატაკიდან რამდენჯერმე აზიდვით აღნიშნა. როგორც ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი აცხადებს, 44 წლის მაო ტერორიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო დანიშნულების რაზმში მსახურობს, ხოლო თავისუფალ დროს ის სპორტითაა დაკავებული.

აღსანიშნავია, რომ ჩინელმა საკუთარი ადრინდელი რეკორდიც დაამხო. მისი ადრინდელი რეკორდი ოთხ საათსა და 26 წუთს შეადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თურქეთის პრეზიდენტმა ჯამალას გამარჯვება მიულოცა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა უკრაინელ მომღერალ ჯამალას ევროვიზიაზე გამარჯვება მიულოცა.

— თქვენ ნამდვილად უდიდესი ხელოვანი ბრძანდებით, — თქვა ერდოღანმა.

— მსურს ბატონ ერდოღანს ულრმესი მადლობა ვუთხრა. მისი მოლოცვა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, — განაცხადა ჯამალამ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გერი კონოლი: „რეაგირებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე გავაგრძელებთ“



ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართული ასოციაცია ამერიკაში“ ყოველწლიურ ღონისძიებაზე ამერიკის ორ კონგრესმენს — რესპუბლიკელ ტედ პოსა და დემოკრატ გერი კონოლის საქართველოს მხარდასაჭერად გაწეული ძალისხმევისთვის ორგანიზაციის ტრადიციული ჯილდო გადასცა. კონგრესმენები ამერიკის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან.

დაჯილდოების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას კონგრესმენმა გერი კონოლიმ განაცხადა: „მე და კონგრესმენ ტედ პოს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვაქვს, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით ჩვენ ერთიანი ვართ. ჩვენ ერთიანი ვართ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან და ოკუპირებული აფხაზეთისა და (სამხრეთ) ოსეთის ტერიტორიებზე სუვერენიტეტის დაბრუნებასთან დაკავშირებით. მე ნატოს გენასამბლეაში ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელი ვარ. საქართველოს წარმომადგენლებთან იქაც ვმუშაობ იმისთვის, რომ ნატოში ჩვენმა ყველა მოკავშირემ გაიგოს იმის მნიშვნელობა თუ რა ხდება საქართველოში. რომ გადახედოთ რა მოხდა იმ ომში (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში), დაინახავთ იმის ჩანასახს, თუ რა მოხდა შემდეგ ყირიმში და რა ხდება აღმოსავლეთ უკრაინაში. ძალიან მნიშვნელოვანია — და ეს თქვენ, რუსეთის მეზობლებმა უფრო კარგად იცით, ვიდრე მე — რუსებმა გაიგონ, რომ არალეგალური ნიშნავს არალეგალურს. ჩვენ არასოდეს ვაღიარებთ ამას (ოკუპაციას) და რეაგირებას გავაკეთებთ იქამდე, სანამ სიტუაცია არ გადაიჭრება. ამ შემთხვევაში, ცხადია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნებას ვგულისხმობ“.

კონგრესმენმა დასძინა, რომ საქართველოს მეგობართა ჯგუფი კონგრესშიც ცდილობს საქართველოს საკითხის დაწინაურებასა და კანონმდებლებისთვის საქართველოს რეალობაზე ინფორმაციის მიწოდებას. კონგრესმენები გერი კონოლი და ტედ პო საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტით ივლისში ჩავლენ.

**ნიუსპრესი**

# შანხაიში გადასასვლელზე ნამდვილი ზებრა დახატეს



ჩინეთის ქალაქ შანხაიში პოლიციელებმა ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე ნამდვილი ზებრა დახატეს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ზებრა“ ზებრად გარდაისახა.

როდესაც საუბარი ეხება იმას, თუ როგორ ესაუბრონ ფეხით მოსიარულეებს გზებზე უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობაზე, ზოგჯერ ისეთი იდეები იბადება, რომლებიც ყურადღებას თავისთავად იპყრობს.

შანხაიში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე ზებრის გამოსახულებას ადგილობრივმა გამოცემამ „ნათელი მხატვრული ნამუშევარი“ უწოდა.

ქალაქის იმ რაიონში, სადაც ეს უჩვეულო გადასასვლელი მდებარეობს, დაახლოებით 200 ათასი ადამიანი მუშაობს და ამ ადგილას ავტოსაგზაო შემთხვევები ბოლო დროს საკმაოდ გახშირებული იყო. ასევე ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის ზრდა შეიმჩნევა ჩინეთის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა შანხაი და პეკინი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# გიორგი აბურჯანია: „ლა ლიგაში თამაში ჩემი ოცნებაა“



დიდი შანსია, ქართველმა ფეხბურთელმა გიორგი აბურჯანიამ მომავალი წლიდან ესპანეთის ელიტალურ ლიგაში, პრიმერა დივიზიონში იასპარეზოს. ამისთვის მისმა ხიმნასტიკმა პლეი ოფში უნდა იმარჯვოს იმ გუნდებთან, რომელთაც რეგულარულ სეზონში აჯობა.

აბურჯანიამ ფეხბურთის გემო ეროვნულ გუნდშიც დააჭაშნიკა და მისი ელიტარულ ჩემპიონატში თამაში ჩვენს ნაკრებსა და ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგება.

ვნახოთ, როგორ მოახერხებს ამას ქართველი ფეხბურთელი, რომელიც მიმდინარე წელს ხიმნასტიკის სასიამოვნო სიურპრიზად იქცა – სწორედ ასე ახასიათებს აბურჯანიას კატალონიური პრესა, სადაც ჩვენებურის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***– ხიმნასტიკში გადმოსვლის შემდეგ თითქმის ყველა მატჩში მიიღეთ მონაწილეობა. ელოდით ამას?***

– დიახ, რადგან ამბიციური ვარ. ცხადია, ადაპტაციასაც დრო სჭირდება, სულ სხვა ქვეყანასა და სტილს შეგუება უნდა, მაგრამ საბედნიეროდ, ეს ეტაპი წარმატებით გავიარე და გახარებული ვარ.

***– ამბობენ, ადაპტაცია იოლად გადასატანია, თუ ისეთ კლუბში მოხვდები, რომელშიც ჯანსაღი სიტუაციაა. ასეა?***

– დიახ და ეს ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სანამ ჩამოვიდოდი, ჩისკო მუნიოსს ვესაუბრე, რომელსაც თბილისის დინამოდან ვიცნობდი და უკვე ვიცოდი, რომ კარგი სიტუაცია დამხვდებოდა.

***– გუნდში კარგი ფეხბურთელები არიან – ემანა, ტეხერა, ნარანხო...***

– მართლაც დიდებული ფეხბურთელები არიან. როცა ასეთი ფეხბურთელები ჰყავს გვერდით, თამაში უფრო გიიოლდება. ეს ბიჭები იმ დონის არიან, რომ ელიტაში თამაში თავისუფლად შეუძლიათ. ამ ყველაფერმა ჩემს სწრაფ ადაპტაციას ხელი შეუწყო.

***– მთავარი მწვრთნელი ვისენტე მორენო ვარჯიშებზე რას ითხოვს?***

– შრომას, შრომას და შრომას. როგორც ინდივიდუალურს, ისე კოლექტიურს.

***– მორენო კი ითხოვს ბევრ მუშაობას, მაგრამ თქვენ ასევე შემოქმედებითი სტილის ფეხბურთელი ხართ.***

– ასეა, მაგრამ ჯერ მზად უნდა იყო საიმისოდ, რომ შენი კრეატიულობით რამე შემატო გუნდს. ჩვენ ვარჯიშებზე ყველანაირ სიტუაციას ვხვეწავთ.

***– ესპანეთში კვიპროსის ჩემპიონატიდან ჩამოხვედით, მაგრამ თქვენ ქართველი ხართ და ალბათ, დიდ სხვაობას ხედავთ.***

– სხვაობა მართლაც ძალიან დიდია. საქართველოში ყველაფერი სამოყვარულო დონეზეა და ბევრი რამ არასწორადაა. აქ კი გაცილებით მეტი პროფესიონალიზმია. აქ თუ რამეს ვერ შეასრულებ, მეტი უნდა იმუშაო.

***– ანუ ესპანეთში გაცილებით ნიჭიერი ფეხბურთელები არიან?***

– არა, მე რაც გითხარით, საქმისადმი მიდგომას და შრომას შეეხებოდა. ესპანეთში მეტი ანალიზი და პროფესიონალიზმია. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია.

***– თქვენს თამაშს თუ აშუქებენ საქართველოში?***

– დიახ, დიდ ყურადღებას აქცევენ, ტელევიზიები, გაზეთები, რადიო... მეტიც, სურდათ ხიმნასტიკის თამაშების ჩვენებაც, მაგრამ რაღაც პრობლემებს წააწყდნენ.

***– ანუ ხიმნასტიკს საქართველოშიც გაუჩნდნენ გულშემატკივრები?***

– დიახ, მგონი იმაზე მეტი, ვიდრე ტარაგონაში.

***– გუნდი ამ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძვის.***

– ეს კარგია და თანაც, ამას თავიდან ბევრი არ ელოდა. როცა მე გადმოვედი, გუნდი უკვე ზედა ნაწილში იყო ცხრილის. ფეხბურთელები უკვე მოტივირებულნი იყვნენ, რომ შესაძლოა, გუნდი ლა ლიგაში დაწინაურდეს. პლეი ოფში ადგილი კი გვაქვს, მაგრამ უნდა ვცადოთ პირდაპირი საგზურის მოპოვება, ჩვენ უშუალო კონკრენტებთან გვიწევს თამაში.

***– რას იტყვით ესპანურ ფეხბურთზე?***

– როგორც ლა ლიგა საუკეთესოა ევროპაში, ისე სეგუნდა მეორე დონის ტურნირებში. მეორე ლიგაში უფრო მეტი ბრძოლაა და თქვენ წარმოიდგინეთ, თამაში ლა ლიგაში უფრო იოლია.

***– როცა საქართველოში თამაშობდით, რომელ კლუბს გულშემატკივრობდით?***

– ბავშვობაში მადრიდის რეალის ფანი ვიყავი, მაგრამ ბოლო წლებში ბარსელონას თამაშის სტილი მიზიდავს.

***– როგორია ყოველდღიური ცხოვრება ტარაგონაში თქვენთვის?***

– ტარაგონა ძალიან კარგი ადგილია საიმისოდ, რომ მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრო. ძალიან მშვიდი ქალაქია, თან ბარსელონასთან ახლოს.

***– სამაგიეროდ, ძალიან შორს ხართ სახლიდან.***

– ეს რთულია – გენატრება ოჯახის წევრები, მეგობრები, მაგრამ ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება.

***– როგორ ითვისებთ ახალ ენას?***

– კვირაში ორჯერ მაქვს გაკვეთილები. საფეხბურთო ტერმინები კარგად ვიცი, ხანდახან მწვრთნელი ნანო რივასი ინგლისურად მელაპარაკება.

***– რას ელით უახლოეს ხანებში?***

– ორწლინახევრიანი კონტრაქტი გავაფორმე, სხვა გეგმები არ მაქვს, ძალიან ბედნიერი ვარ აქ, მომატება მსურს და გუნდის დახმარება მიზნის მიღწევაში.

***– ალბათ, ლა ლიგაში თამაშზე ფიქრობთ.***

– ეს ჩემი ოცნებაა.

# დინამო და სიონი თასის მფლობელს ქუთაისში გაარკვევენ

**დღეს ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალს უმასპინძლებს. ერთმანეთს თბილისის დინამო და ბოლნისის სიონი დაუპირისპირდებიან.**



საქართველოს თასის მფლობელი 26-ედ გამოვლინდება. აქამდე ეს ტიტული ყველაზე მეტჯერ თბილისის დინამოს აქვს მოპოვებული. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ეს 12-ჯერ მოახერხა. 3-ჯერ აქვს თასი აღებული თბილისის ლოკომოტივს, 2-ჯერ იგივე თბილისის ამერმა და ქუთაისის ტორპედომ მოახერხა, ხოლო თითოჯერ ასწიეს თასი – თბილისის ვიტ ჯორჯიამ, ზესტაფონმა, ბათუმის დინამომ, ლანჩხუთის გურიამ, გაგრამ და გორის დილამ.

თასის ფინალს „ამოჩემებული“ წყვილებიც ჰყოლია: თავიდან ეს თბილისისა და ბათუმის დინამო იყო, შემდეგ თბილისის ლოკომოტივი და ქუთაისის ტორპედო, ბოლოს ზედიზედ 3-ჯერ ერთმანეთს თბილისის ამერი და ზესტაფონი შეხვდნენ.

თასის ფინალში დღევანდელი მონაწილეები 2003 წელსაც შეხვედრიან. მაშინ დინამომ 3:1 მოუგო მეტოქეს. მატჩის ბედი მაშინ პირველივე ტაიმში გადაწყდა, როდესაც ოთარ ხიზანეიშვილმა, ვიტალი დარასელიამ და გიორგი ანჩაბაძემ 3 უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. ბოლნისელმა ისიანმა მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხა ერთი საპასუხო გოლის გატანა.

ამ გუნდების წინა ფინალი თბილისში, მიხეილ მესხზე გაიმართა და 6.000 მაყურებელი. ამჯერად მატჩი ქუთაისშია, სადაც თავს უფრო კომფორტულად სიონი იგრძნობს. ამის ვარაუდის უფლებას თბილისის დინამოსა და ქუთაისის ტორპედოს გულშემატკივართა შორის არცთუ კეთილგანწყობილი ურთიერთობა გვაძლევს. ეს სოციალურ ქსელებში მატჩამდეც იგრძნობა. ვარაუდობენ, რომ ამჯერად მაყურებელი უფრო მეტი იქნება, ვიდრე ამ გუნდების პირველ სათასო ფინალზე.

ადგილობრივი მაყურებლების გარდა, ცნობილი გახდა, რომ მატჩისთვის გულშემატკივრები ჩასასვლელადაც საკმაოდ ემზადებიან. ცხადია, ქუთაისისკენ დინამოს ფანკლუბი და რიგითი გულშემატკივარი დაიძვრება. ბოლნისის მერია გულშემატკივრებს ავტობუსებს გამოუყოფს და მატჩზე დასასწრებად გამგზავრებას სიონის 600-მდე მხარდამჭერი აპირებს.

**ყველა ფინალი:**

1990: გურია-ცხუმი 1:0 (დდ)
1992: იბერია-ცხუმი 3:1
1993: დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 4:2
1994: დინამო (თბ)-მეტალურგი 1:0
1995: დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 1:0
1996: დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 1:0 (დდ)
1997: დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 1:0
1998: დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 2:1 (დდ)
1999: ტორპედო-სამგურალი 0:0 (4:2პ)
2000: ლოკომოტივი-ტორპედო 0:0 (4:2პ)
2001: ტორპედო-ლოკომოტივი 0:0 (4:3პ)
2002: ლოკომოტივი-ტორპედო 2:0
2003: დინამო (თბ)-სიონი 3:1
2004: დინამო (თბ)-ტორპედო 2:1
2005: ლოკომოტივი-ზესტაფონი 2:0
2006: ამერი-ზესტაფონი 2:2 (4:3პ)
2007: ამერი-ზესტაფონი 1:0
2008: ზესტაფონი-ამერი 2:1
2009: დინამო (თბ)-ოლიმპი 1:1 (2:0პ)
2010: ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) 1:0
2011: გაგრა-ტორპედო 1:0 (დდ)
2012: დილა-ზესტაფონი 4:1
2013: დინამო (თბ)-ჩიხურა 3:1
2014: დინამო (თბ)-ჩიხურა 2:1
2015: დინამო (თბ)-სამტრედია 5:0



# დანი ალვეში: „ხალხს უფრო შევეზიზღები“

ბარსელონას ბრაზილიელი მარჯვენა მცველი დანი ალვეში ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი ტიტულის მოპოვების შემდეგ საკუთარ ტვიტერზე ხუმრობდა. თუმცა, მისი ეს ხუმრობა შემდეგ განსჯის საგნად იქცა.

**დანი ალვეში:**

– ბარსელონასთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატი უკვე მეექვსედ მოვიგე. ახლა ხვდებით, რატომ ავირჩიე 6 ნომერი? ამ გუნდით, რომელიც ძალიან ძლიერია, სიამოვნება უნდა მივიღოთ. ბოლო 2 წლის განმავლობაში, შესანიშნავ ისტორიაში ოქროს ფურცლების დამატებას ვახერხებთ. მოსწონს ხალხს ეს თუ არა, ბარსელონა ფეხბურთის ცოცხალი ისტორიაა. დანარჩენები კი უნდა დასხდნენ და იტირონ. 2 წლის განმავლობაში 6 ტიტული და მეშვიდის მოგების შანსი. თუ ეს ცუდი შედეგია, მოვიდეს ვინმე და გვაჯობოს.

მის ამ განცხადებას ბევრი უკმაყოფილო გამოძახილი მოჰყვა, მაგრამ ეს სულაც არ ანაღვლებს თავად ფეხბურთელს, რომელმაც ოპონენტებს ისევ ტვიტერით უპასუხა:

– ახლა, ხალხს კიდევ უფრო შევზიზღდები. თუმცა, მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ მოგებებს ყოველთვის შეურაცხყოფა მოსდევს.

# სალომე ფაჟავა ოლიმპიადამდე მედლებს აგროვებს



რიო დე ჟანეიროში გასამართი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი სალომე ფაჟავა წარმატებით გამოვიდა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გრან პრის ეტაპზე. ქართველმა ტანმოვარჯიშემ ბუქარესტში 3 მედალი მოიპოვა.

მართალია, ფაჟავამ მრავალჭიდში 72.850 ქულა დააგროვა და მხოლოდ მე-4 ადგილს დასჯერდა, მაგრამ მედლები სხვადასხვა სახეობებში ინდივიდუალურად მოიპოვა.

სალომემ გურზებით შეჯიბრებაში 19.000 ქულით ოქროს მედალი დაისაკუთრა. რგოლით ვარჯიშში კი, ჩვენებურის ნაჩვენებმა 18.500-მა ქულამ ვერცხლის მედალი მოუტანა. სალომეს მხოლოდ 0.5 ქულით აჯობა ბელარუსმა სტანიუტამ.

ფაჟავამ მეორე ვერცხლი 18.700 ქულით ლენტით ვარჯიშში მოიგო და როგორც გითხარით, ჯამში ბუქარესტში სამი მედალი მოიპოვა – ოქრო და 2 ვერცხლი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**16 მაისი**

**ფეხბურთი**

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

გრააფსხაპი-მაასტრიხტი ............... 2:1
ბრედა-ეინდჰოვენი ........................ 2:0
ვენლო-იგლზი ................................ 2:2
ტილბურგი-ალმერე ........................ 5:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-უფა ...................................... 1:0

**ამკარელთა გოლი გიორგი ჯიქიამ გაიტანა**

ცსკა-კრასნოდარი ........................... 2:0
როსტოვი-ურალი ............................ 1:0
ყუბანი-დინამო ................................ 1:0
სპარტაკი-ტერეკი ........................... 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ვადუცი .................... 1:2
ლუგანო-იანგ ბოიზი ....................... 1:3
ლუცერნი-ბაზელი ........................... 4:0
სტ.გალენი-ციურიხი ....................... 3:0
თუნი-სიონი .................................... 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-რანდერსი ........................ 2:3
კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი ........ 2:0
ესბიერგი-ბრონდბიუ ..................... 2:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

აეკი-დიურგარდენი ........................ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-სტარტი ......................... 1:1
ტრომსო-ბოდო გლიმტი ................ 1:2
ბრანი-სტაბეკი ................................ 1:0
ოდ გრენლანდი-მიოლდე ............... 2:0
რუსენბორგი-ლილესტრიომი ........ 2:1
ვალერენგა-ჰაუგესუნდი ................ 0:1
ვიკინგი-სონგდალი ........................ 0:0
სტრომგოდსეტი-სარპსბორგი ....... 4:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიკი-ინტერი .................................. 3:1

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ომბუდსმენი შსს-ს 10 ლგბტ აქტივისტის დაკავებაზე განმარტებებს სთხოვს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 ლგბტ აქტივისტის დაკავებაზე განმარტებებს სთხოვს. ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ დაკავებულებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადეს, რომ მათი დაკავება განხორციელდა უხეში ფორმებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე და ჰომოფობიური ენის გამოყენებით.



**უჩა ნანუაშვილი:**

17 მაისს 10 ლგბტ აქტივისტი დააკავეს. 3 მათგანი დააკავეს მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანზე", ხოლო 7 – საპატრიარქოს შენობასთან სტენსილების ხატვისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო.

ლგბტ აქტივისტები უთითებენ, რომ ისინი დააკავეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა, ასევე მათი ტრანსპორტირება არ განხორციელებულა პოლიციის ავტომანქანებით. დაკავებულების ადგილსამყოფელი რამდენიმე საათის განმავლობაში უცნობი იყო. აღნიშნული ინფორმაციის მოძიება გაუჭირდათ მათ შორის სახალხო დამცველის რწმუნებულებს.

დაკავებულები აღნიშნავენ, რომ მათთვის დაკავებისთანავე არ განუმარტავთ უფლებები და არ მიუციათ ახლობლებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

ნახატების თვითნებურად შესრულება შენობათა ფასადებსა თუ ღობეებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა (სსკ 150-ე მუხლი). თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება აღნიშნულ ქმედებებზე მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. გაუგებარია, რატომ იყვნენ დაკავებისას პოლიციელები ფორმის გარეშე და შს სამინისტროს კონკრეტულად რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენდნენ ისინი. მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე ნათელი და მკაფიო განმარტება უმოკლეს დროში გააკეთოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ნაწილში მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად ჰქონდათ შესაძლებლობა ლგბტ აქტივისტებს მაიდენტიფიცირებელი ნიშნების, დოკუმენტებისა და სათანადო განმარტების არარსებობის პირობებში შესაბამისი პირები აღექვათ პოლიციის თანამშრომლებად.

ასევე, დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესწავლილი დაკავებისას სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებისა და ჰომოფობიური ენის გამოყენების, დაკავებულებისათვის უფლებების დაუყოვნებლივ განმარტების მოვალეობის დარღვევის საკითხი და მას უნდა მოჰყვეს მკაცრი რეაგირება. განხორციელებული რეაგირების შესახებ დროულად უნდა ეცნობოს საზოგადოებას.

**ინტერპრესნიუსი**

# ფოთში პატიმრის ახლობლებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირება მოხდა




ფოთში პატიმარ რუსლან გუგუნავას ახლობლებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირება მოხდა. ხმაური აქციაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც პატიმრის ოჯახის წევრებმა ფოთში, მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ, ალმაშენებლის ქუჩაზე მოძრაობა რამდენიმე წუთით შეაჩერეს.

„ინტერპრესნიუსთან" საუბარში ოჯახის ადვოკატი ზაურ კინტირაია ამბობს, რომ რუსლან გუგუნავა რუსთავის მე-6 საპყრობილეში იხდის სასჯელს და ბოლო დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა, ადვოკატი აცხადებს, რომ პატიმარს მედიკამენტები და ექიმის დახმარება ესაჭიროება. ოჯახი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოითხოვს.

**ინტერპრესნიუსი**


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996


# ასტროპროგნოზი
## 18 მაისისთვის



**ვერძი** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა, ოღონდ ბევრ ფულს ნუ დახარჯავთ, მცირედით დაკმაყოფილდით. პირად ცხოვრებაში სპონტანურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **კურო** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ ილუზიებს არ აჰყვებით და მიწაზე დაეშვებით. რეალობის გათვალისწინებით იმოქმედეთ. **ტყუპები** – განეწყვეთ რომანტიკული ურთიერთობებისათვის. ოჯახის წევრებს თქვენი სითბო და ყურადღება უშურველად გაუნაწილეთ. **კირჩხიბი** – კარგი დღეა მსხვილი შენაძენებისთვის, საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. პლანეტები გირჩევენ, პარტნიორს ბრმად არ მიენდოთ. **ლომი** – დღეს კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ცურვა, ფიტნესი. აქტიურად დაისვენეთ. პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ახალი ნაცნობობა სასიამოვნო იქნება. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში საყიდლებზე წასვლა და მსხვილი კაპიტალდაბანდებები იღბლიანი იქნება. საღამოს ყოველგვარი კომერციული საქმიანობა აღკვეთეთ. ემოციები მოთოკეთ. **სასწორი** – ახალი ენერგიით აღივსებით, რაც მიზნის მიღწევაში ძალიან დაგეხმარებათ. ხელმძღვანელობა თქვენს ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს. **ღრიანკალი** – კარგი პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. გელით ფინანსური მოგება. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **მშვილდოსანი** – პარტნიორისგან კარგ ახალ ამბავს შეიტყობთ. იღბლიანი დღეა მსხვილი კაპიტალდაბანდებებისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. **თხის რქა** – მოვლენები თქვენ სასარგებლოდ იცვლება. როგორც საქმიან სფეროში, ისე პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეები გაქვთ. ბავშვები და მოხუცები ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **მერწყული** – დღეს განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მამაკაცებისათვის, რომლებიც კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი. სამაგიეროდ, ქალებს შესაძლოა ვინმემ მახე დაგიგოთ. ერიდეთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მოვა დრო და ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ შეიცვლება. ხელმძღვანელმა პირებმა უნდა იზრუნონ სამსახურში მორალური კლიმატის გაჯანსაღებაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მკურნალი მცენარე

**ჟოლო** – ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი ნახევრად ბუჩქია 1,5 მ სიმაღლით. მისი ერთწლიანი ვეგეტატიური ყლორტები ბალახოვანია, ხოლო ორწლიანი – გამერქნებული და ნაყოფის მომცემი. ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ ხმება. ტოტებზე განლაგებულია ხშირი, მაგრამ შედარებით რბილი ეკლები. ფოთლები ზემოდან შიშველია, ხოლო ქვედა ზედაპირი მოთეთრო მორუხო ქეჩისებრი ბუსუსებითაა მოფენილი. აქვს თეთრი ყვავილები და წითელი, იშვიათად – ყვითელი ნაყოფი, რომელიც გამოირჩევა სასიამოვნო სურნელითა და გემოთი. ყვავის ივნისში, ზოგან – ივლისში. ნაყოფი დაყვავილებიდან 35-40 დღეში მწიფდება (ძირითადად ივლის აგვისტოში). მრავლდება თესლითა და ფესვის ნაბარტყით.

იზრდება კალთაშეთხელებულ ტყეებში, ტყისპირებში, ნახანძრალებზე, ნამეწყრალ ფერდობებზე, გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყლებში ზღვის დონიდან 2500 მეტრამდე სიმაღლეზე, არცთუ იშვიათად ქმნის თავისი გაბატონებით ბიოჯგუფებს.

ჟოლოს გამხმარ ნაყოფებს გაციების დროს იყენებენ ოფლისმომგვრელ საშუალებად, მისგანვე ამზადებენ სიროფს სხვადასხვა წამლების გემოს გასაუმჯობესებლად. ნაყოფი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს. მისგან ამზადებენ მურაბას, კომპოტს, სიროფს, მარმელადს, ღვინოს, ჟელეს, ლიქიორს, გამაგრილებელ სასმელებს. შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა. 1 ჰექტარი ჟოლოს რაყა 100 კილოგრამამდე თაფლს იძლევა.

ჟოლოს ფოთლებში აღმოჩენილია ნაწლავების და საშვილოსნოს მუსკულატურის მასტიმულირებელი და სპაზმოლიტური მოქმედების ნივთიერებები.



გაციების დროს მისი ნაყოფის გამონაწვლილი გამოიყენება, როგორც ოფლისმომდენი საშუალება. ყვავილების ნახარშით წითელ ქარს და თვალის ანთებას მკურნალობენ, ფოთლების ნახარში კი იხმარება ყელის ტკივილის, ცხელების დროს. ეფექტურია ფერისმჭამელების და მუწუკების მოსაცილებლად, ასევე გამოიყენება პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად ღრძილებისა და ყელის ტკივილის სამკურნალოდ.

**სალბი** – მრავალწლიანი ნახევარბუჩქოვანი მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან სიმაღლით 20-80 სმ. ფოთლები მოგრძოა, ნაოჭიანი, შებუსული განსაკუთრებით ქვედა მხრიდან. ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ ფოთლები იცვლიან ფერს მოვერცხლისფერო-ნაცრისფრად. ყვავილედი მარტივია, მოლურჯო-იისფერი ყვავილებით.



ნედლეულის შეგროვებას აწარმოებენ ნაყოფის შემოსვლის დროს ივლისის დასაწყისიდან ოქტომბრამდე. ამ დროს ფოთლებში ეთერზეთის მეტი რაოდენობაა. აშრობენ ჰაერზე.

სალბის ნაყენებსა და ნახარშებს ძირითადად იყენებენ როგორც ანთების საწინააღმდეგო ბაქტერიოსტატიკური თვისებებით, მადეზინფიცირებელ საშუალებას პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს. ხალხურ მედიცინაში სალბის ფოთლები გამოიყენება გასტრიტის, კოლიტის, ღვიძლის, თირკმელების დაავადების, ბრონქიტების დროს, აგრეთვე როგორც ამოსახველებელი, ხველის შემარბილებელი, შარდმდენი საშუალება.

სალბის ნაყენის მისაღებად 30 გრამი ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ ადუღებული წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში.

თვლიან, რომ სალბის ნაყენის მიღება ამცირებს ოფლის გამოყოფას. ამიტომ ურჩევენ მის მიღებას ძლიერი ოფლიანობის შემთხვევაში, განსაკუთრებით კლიმაქტერულ პერიოდში.

მის ნაყენს იყენებენ როგორც კოსმეტიკურ საშუალებას ფერისმჭამელების სამკურნალოდ. ამისათვის ნაყენს შემდეგნაირად ამზადებენ: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ადუღებენ არაუმეტეს 15 წუთისა, ხმარობენ თბილი საფენების სახით.

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 3. მოკლე, იუმორისტული, საესტრადო, საცირკო პიესა, ნომერი; 4. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 5. უბანი თბილისში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 16. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის შაშხი; 17. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 20. მგალობელი ჩიტი; 22. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად**: 6. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 8. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 9. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 11. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი სამხრეთ ამერიკაში; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 14. მოკლელულიანი შაშხანა; 19. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 21. „ფორმულა-1"-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 23. იაპონიის ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი; 24. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კარიერი; 2. ბინომი; 3. ბრინდიზი; 4. „გეორგიკა"; 7. კონვეიერი; 8. სკვიმნია; 12. კაპილარი; 14. ტალავარი; 16. ჰერაკლე; 17. ბარცინო; 19. მაზე; 20. „შინი".

**თარაზულად:** 5. ცაიტნოტი; 6. ვირსალაძე; 9. მაჟალო; 11. რვალი; 13. ხავსი; 15. ტაბიძე; 18. ტესლა; 21. კარდინალი; 22. კურიოზი; 23. დემეტრე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ედისონი; 2. ბუშლატი; 3. ქიზიყი; 4. ალეპო; 5. რამაზოტი; 7. ექო; 11. ზარზმა; 15. ერუპცია; 16. ღალატი; 17. ბარჯი; 18. მრუმე; 20. ტიბრი; 22. იედო.

**თარაზულად:** 6. დისნეი; 8. ლუტეცია; 9. პლენუმი; 10. სერვიზი; 12. ჯაყვა; 13. ოპიზა; 14. აპერკოტი; 19. ბიუჯეტი; 21. ვარძია; 23. რიალი; 24. უჯრედი; 25. „მიტარბი"; 26. „ვერდილიო".

# ქართველმა სოპრანომ საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემია მოიგო



პოლონეთში ახალგაზრდა ქართველმა სოპრანომ სალომე ჯიქიამ საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია მოიგო. სალომემ მონაწილეობა მიიღო პოლონეთში გამართულ ახალგაზრდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში, რომელიც ვარშავაში ნაციონალურ ოპერაში ჩატარდა.

საოპერო მომღერლებისთვის განკუთვნილ კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა საოპერო მომღერლები მონაწილეობდნენ. სალომეს უპირატესობა კონკურსანტებს შორის თავიდანვე გამოიკვეთა და პირველი პრემიის მფლობელიც დამსახურებულად გახდა.

საერთაშორისო კონკურსი საოპერო მომღერლებისთვის პოლონეთში წელს მეცხრედ ჩატარდა. კონკურსი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებად არის მიჩნეული.

გამარჯვებული ქართველი მომღერალი სამშობლოში უკვე დაბრუნდა. თბილისის აეროპორტში მას გულშემატკივრებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს.

# შორენა ბეგაშვილი: „მადლობა, რომ მარტო არ დამტოვეთ!“



მსახიობი შორენა ბეგაშვილი შვილთან ევა ბარბაქაძესთან ერთად თურქეთში იმყოფება, სადაც მოზარდს ოპერაციები უტარდება. შვილის ტკივილების შემყურე დედას საზოგადოების განკითხვა კიდევ უფრო უკლავს გულს. ცნობისმოყვარეები შორენას ბინის, მანქანისა და ყველა იმ ძვირფასეულობის გაყიდვას ურჩევენ, რაც გააჩნია.

ამაზე შორენა ბეგაშვილმა ასეთი პასუხი გასცა:

– ბინა კრედიტით მაქვს, გადაამოწმეთ, გეხერხებათ. რომ გავყიდო, ბანკში უნდა ჩავრიცხო. მანქანა, შუბა და ყველაფერი იყიდება. მოდით და იყიდეთ. ასეთი ხალხის გამო ვიკავებდი თავს ძვირადღირებულ მკურნალობაზე და თვე და ორი კვირა ვუყურებდი, სიცხიან ბავშვს ტკივილები როგორ ტანჯავდა. ყოველთვის ისე ვცხოვრობდი, რომ არავის წამოსაყვედრებელი არ მქონოდა რამე. პირიქით, აქეთ ვეხმარებოდი, როგორც შემეძლო. მე კიდევ დავიწყებ ნულიდან ცხოვრებას და უკეთესი ჯიპიც მეყოლება, შუბაც და ბევრი ის ნივთი, რომელიც უკვე გაიყიდა. ახლა, როცა გაქექეთ ჩემი ცხოვრება, გეტყვით, რომ ევას საოპერაციოდ ამზადებენ. ბოლო ორი თვის მანძილზე მეოთხე ოპერაციაა. მაინც ყველაზე ლამაზია.

მადლობა მერიას, ჯანდაცვის სამინისტროს, ანუკის და კახა კალაძეს. მათი წყალობით ევას პირველი ოპერაციის ნახევარი დაფინანსდა და არ



გეგონოთ, მარტო ჩემს შვილს აფინანსებენ. ბევრი ქართველი წევს აქ მათი დახმარებით. მადლობა ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც აქ ყურადღებას არ გვაკლებენ. წინ რთული დღეებია, მაგრამ კარგად იქნება ჩემი გოგო, უნდა გაიაროს და იცეკვოს ისევ, ისევ უნდა მოემპაროს ფეხსაცმელი და გამიფუჭოს...

მადლობა, რომ მარტო არ დამტოვეთ.

# ოთო ნემსაძემ ტაქსაობა დაიწყო



მომღერალმა ოთო ნემსაძემ საქველმოქმედო ტაქსაობა დაიწყო. იდეის შესახებ მან საზოგადოებას რამდენიმე დღის წინ შეატყობინა. ოთომ განაცხადა, რომ მზად არის, საკუთარი მანქანით მოემსახუროს მოქალაქეებს და მოგროვილი თანხით გაჭირვებულებს დაეხმაროს.

ოთო ნემსაძეს ქველმოქმედების შესახებ მოსაზრებები არაერთხელ გაუჟღერებია. ამჯერად კი გადაწყვიტა, საკუთარი მანქანით მოემსახუროს მოქალაქეებს. მან იდეა აკა სინჯიკაშვილისგან აიღო, რომელიც ეროვნული მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელია. აკა მთელი ღამე ტაქსაობს და მოგროვილი თანხით გაჭირვებულებს არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს რეგიონებშიც ეხმარება.

**ოთო ნემსაძე:**

– ჩემო მეგობრებო, როგორც უკვე მოგახსენეთ, ხვალ დილიდან თქვენს განკარგულებაში ვართ მე და ჩემი მანქანა. რამდენიმე დღე ვიტაქსავებ... აკა სინჯიკაშვილს, ამ ძალიან კარგ ადამიანს შევხვდი დღეს და ბევრი რაღაც მასწავლა, გაგაცნობთ განრიგს:

დილის 08:00-დან დავიწყებ ზარების მიღებას და თქვენი იმედი მაქვს, იქნება შესვენება 14:00-დან 16:00-მდე და მერე მთელი საღამო შუაღამემდე თქვენს განკარგულებაში ვარ. დილიდან ველი თქვენს ზარებს: 599957697. ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგვიძლია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ვინ სარგებლობს ბერას სახელით?



ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელში ბერას უამრავი გვერდი გაჩნდა, სადაც სხვადასხვა ტიპის განცხადებები ვრცელდება. როგორც მომღერალი აცხადებს, მას მხოლოდ ერთი ოფიციალური გვერდი აქვს:

– მინდა შეგახსენოთ, რომ მხოლოდ ეს არის ჩემი ოფიციალური გვერდი. სხვა ყველა ჩემი სახელის მატარებელი გვერდი ყალბია. გთხოვთ გაითვალისწინოთ და არ აჰყვეთ პროვოკაციულ განცხადებებს. პ.ს. ჩემი და კი საერთოდ არ სარგებლობს ფეისბუქით.

# საშინაო დავალებამ ბრიტანელი მასწავლებელი ინტერნეტის ვარსკვლავად აქცია



საშინაო დავალებამ, რომელიც დიდი ბრიტანეთის ქალაქ რედინგის სკოლის მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს მისცა, ის ინტერნეტის ვარსკვლავად აქცია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული პორტალი ავრცელებს.

მასწავლებელმა, რომლის გვარია ტომი, მოსწავლეებისთვის შეადგინა იმ საქმეების სია, რომლებიც მათ დასვენების დღეებში უნდა შეესრულებინათ. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს, მაგალითად, უნდა ესეირნათ ველოსიპედით, ტელევიზორში ეყურებინათ მათი საყვარელი შოუ, გაეღიმათ, ეცინათ, დაესვენათ და მეგობრებთან ერთად ესეირნათ.

სამი დღის მანძილზე მას შემდეგ, რაც საშინაო დავალება ინტერნეტში გამოქვეყნდა, ფეისბუქში მან 75 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, კომენტარებში მშობლები დადებითად აფასებდნენ იმ დავალებებს, რომლებიც მასწავლებელმა მათ შვილებს მისცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ძაღლი პატრონს ძაღლების ცენტრში გაექცა

აშშ-ში ძაღლი, სახელად რაილი, თავის პატრონს გაექცა და თავის საყვარელ ძაღლებისთვის განკუთვნილ ცენტრში მივიდა.

ოქროსფერი რეტრივერი ჩრდილოეთ კაროლინაში ცხოვრობს. ხუთი წლის განმავლობაში, ანუ მისი ცხოვრების უდიდეს დროს ის ძაღლების ცენტრში დაჰყავდათ, სადაც ის თავის მეგობრებთან თამაშით ერთობოდა.

როგორც ცენტრის მენეჯერმა ჯოშ როდესმა განაცხადა, რაილის უყვარს ადამიანები, კატები და ძაღლები და ყოველთვის ისეთ ვინმეს ეძებს, ვისაც ეთამაშება.

გასულ კვირას ძაღლი



თავის პატრონ ტონი მოსტელერთან ერთად მანქანით მგზავრობდა. მათ ძაღლების ცენტრს ჩაუარეს, რომლის გარეთაც იმ დროს მის რამდენიმე მეგობარს ასეირნებდნენ. მოსტელერის თქმით, რაილიმ მათ დანახვაზე წკავწკავი დაიწყო, თუმცა იმ დღეს ცენტრში სტუმრობა დაგეგმილი არ ყოფილა.

პატრონმა ძაღლი სახლში მიიყვანა და ის კართან დატოვა, რათა მზეს მიფიცხებოდა. ერთ საათში კი რაილი უკვე ცენტრის კართან იდგა. მან კილომეტრნახევარი გაიარა იმისთვის, რათა მეგობრებთან ეთამაშა.

ცენტრის თანამშრომლებმა თანხმობა განაცხადეს რაილი მთელი დღით დაეტოვებინათ, თანაც სრულიად უფასოდ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



აუდიტორული კომპანია „კომპაუდის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ, შმაგი და ბაქარ ხიჯაკაძეებს მამის

**ტოგო ხიჯაკაძის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 17 მაისს, 14 სთ-ზე, ხარაგაულის რაიონის სოფელ ვარძიაში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# იანოშ ჰერმანი: „ევროკავშირის დელეგაციის საქმიანობაში სასამართლო პროცესებზე მითითებების გაკეთება არ შედის“



– ევროკავშირის დელეგაციის საქმიანობაში სასამართლო პროცესებზე მითითებების გაკეთება არ შედის, – განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა ჟურნალისტებთან ე.წ. კაბელების საქმეზე კომენტირებისას.

– ჩვენ პატივს ვცემთ სასამართლოების დამოუკიდებლობას. ჩვენ მოლოდინით, სასამართლო არის დამოუკიდებელი. ჩვენ სასამართლოს რეფორმირების კუთხით ბევრს ვმუშაობთ, – განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

ე.წ. კაბელების საქმეზე ბრალდებულ ხუთივე პირს გუშინ 7-7-წლიანი პატიმრობა შეეფარდა.

*ინტერპრესნიუსი*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 18 მაისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**დაივიწყე სარა მარშალი**" (კ.ბელი)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **14.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **16.30** "პოლიტალტერნატივა" **18.00** "თავისუფალი ტრიბუნა **19.00 ფეხბურთი**: საქართველოს თასის ფინალი **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**რომეო და ჯულიეტა**" **02.15** მხ/ფ "**როცა ჰარი შეხვდა სალის**" **04.30** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **5-6** სერ.

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. - "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ "**ბორცვებსაც აქვთ თვალები 2**" **2.15** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** მოკ. მხ/ფ "**ბაკურციხელი ხევსური**" **11.15** ერთხელ ბავშვობაში **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ხვარამზე" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** ველური ბუნება **16.00** კონცერტი **17.10** ძველი აფიშა "ალალე" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30,** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები"- **33** (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05,** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 მაისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2003

ევრო — 2.4903

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1563

100 რუსული რუბლი — 3.388

**ამინდის პროგნოზი 18 მაისისთვის**








## 19 მაისიდან

გრიგოლ რობაქიძე

**ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## იუმორი

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ფეხები რომ არ გქონოდა, ფეხსაცმელს ჩაიცვამდი?

– შენ რა, გააფრინე, რა თქმა უნდა, არა.

– მაშინ ლიფს რატომ ატარებ?

●●●

სოციალურ ქსელში:

– მეგობრებიდან რატომ წამშალე?

– იმიტომ, რომ მაცოფებდი!

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი ვართ?!

– აქ მაინც მინდა, რომ დავისვენო...

●●●

ქალს ქმარი მოუკვდა. დღე და ღამ კუბოზეა დამხობილი და ქმარს დასტირის. ბოლოს მეზობელი შემოვა და ეუბნება:

– ქალო, სანამ მაი მიცვალებული მაგ კუბოდან არ ამოტივტივდება, არ გაჩერდები?

●●●

ოჯახში სამი ტყუპი გაჩნდა. ბავშვები სახლში რომ მიიყვანეს, უფროსმა შვილმა ბავშვებს დახედა და მერე მშობლებს ეკითხება:

– აი ბაღნები უნდა დევიტოვოთ თუ ასარჩევად მოიყვანეთ?

●●●

ზღვაზე დასასვენებლად წასული ცოლისგან ქმარი მესიჯს იღებს, რომელშიც წერია:

„შენ მაინც ყველას ჯობიხარ!"

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ეეხ, სული მტკივა, სული.

– მერე არ მკურნალობ?

– სულს რომ ვმკურნალობ, მერე თირკმელები მტკივა...

●●●

ოსს ეკითხებიან:

– მეფუტკრე თაფლს რომ იღებს სკიდან, სახეზე ბადეს რატომ იფარებს?

– მელე ფუტკლებმა ლომ ველ იცნონ, სენი წილიმე.

●●●

ახალგაზრდა პარკში სკამზე ზის და იგინება. მასთან პოლიციელი მივა, გვერდით მიუჯდება და ეკითხება:

– რატომ იგინები, აქ პარკია, ხალხი სეირნობს და გინება არ შეიძლება.

– მეც დასასვენებლად შემოვედი, ამ სკამზე დავჯექი და შეღებილი აღმოჩნდა.

– ვახ, მე შენი დედა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 17 მაისიდან

**გი დე მოპასანი**

**ლამაზი მეგობარი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 3

**წიგნისა და გაზეთის ფასი 11 ლარი**






## 20 მაისიდან

ნოდარ დუმბაძე

*თეთრი ბაირაღები*

ეს გამოცემა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ წიგნს ერთვის რამდენიმე ფრაგმენტი რომანის ხელნაწერი ვერსიიდან, ასევე მწერლის მეუღლის, ნანული დუმბაძის, მიერ ციხეში შეგზავნილი ბარათები.




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## კრისტიან ბროკის მილანის ფეხბურთელებთან კონფლიქტი მოუვიდა



მილანმა სეზონი რომასთან საკუთარ მოედანზე მარცხით დაასრულა და მილანელების მთავარ მწვრთნელ კრისტიან ბროკის მატჩის შემდეგ ნერვებმა უმტყუნა.

როგორც გაძეტა დელო სპორტი იუწყება, ბროკიმ გასახდელში თავის შეგირდებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და თქვა, რომ ისინი არ იმსახურებენ მილანში თამაშს.

როგორც იტალიურ პრესაში წერენ, მილანში ძალიან დაძაბული ვითარებაა ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის. ბროკის გუნდმა იტალიის ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მილანი ევროტურნირებზე ვერ იასპარეზებს. თუმცა მილანელებს უეფას თასზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვთ და ამისთვის მათ იტალიის თასის ფინალში იუვენტუსი უნდა დაამარცხონ.

ეს შეხვედრა 21 მაისს გაიმართება.

## მასკერანო ესპანეთის თასის ფინალს არ გამოტოვებს



ბარსელონის არგენტინელმა მცველმა ხავიერ მასკერანომ გრანადასთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ მცირე დაზიანება იყო და მასკერანო ამჟამად სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

მასკერანო ბარსელონის დაცვის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, ამიტომ მისი არყოფნა კატალონიურ გუნდზე ყოველთვის ცუდად მოქმედებს.

22 მაისს ბარსელონას ესპანეთის თასის ფინალი ელის სევილიის წინააღმდეგ და მასკერანო ამ შეხვედრას არ გამოტოვებს.

ბარსელონამ უკვე მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ლუის ენრიკეს შეგირდებს შანსი აქვთ, ჩემპიონობას თასიც მიაყოლონ.

სევილიასთან მატჩი მადრიდის ატლეტიკოს სტადიონზე, ვისენტე კალდერონზე გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ვალენსიას ალენ ჰალილოვიჩის შეძენა სურს



ვალენსია ბარსელონის ახალგაზრდა ტალანტ ალენ ჰალილოვიჩის ყიდვას აპირებს. ჰალილოვიჩი ბარსელონას ეკუთვნის, თუმცა ამჟამად ის იჯარით ხიხონის სპორტინგშია, რომელიც ლა ლიგიდან გავარდნას მხოლოდ ბოლო ტურში გადაურჩა. ვალენსია მზად არის, ამ ტრანსფერში 7 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ბარსელონა უფრო მეტს ითხოვს. კატალონიური გუნდი ჰალილოვიჩს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუ ვალენსია მის ბიუჯეტს 12 მილიონი ევროთი გაამდიდრებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ დასრულდება ამ გუნდებს შორის მოლაპარაკება. ჰალილოვიჩი მხოლოდ 19 წლის არის და ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

## ჯაბა კანკავა რეიმსიდან წასვლას აპირებს



საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა გუნდის გამოცვლას აპირებს. მისი ამჟამინდელი კლუბი ფრანგული რეიმსია, რომელიც მომავალ წელს საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში ითამაშებს.

კანკავამ რამდენიმე კვირის წინ თქვა, რომ თუ მისი გუნდი გავარდებოდა, ის რეიმსიდან წავიდოდა. როგორც ჩანს, არც რეიმსია დაინტერესებული ჯაბა დარჩენით, რადგან ამ კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რეიმსში უფრო მეტი ფრანგი და ნაკლები ლეგიონერი უნდა თამაშობდეს.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კანკავა კარიერას. არ არის გამორიცხული, ჩვენებური რომელიმე სხვა ფრანგულ გუნდში აღმოჩნდეს.

## პედრო ჩელსიში ბედნიერია და წასვლა არ უნდა

ბარსელონის ყოფილმა ფეხბურთელმა პედრო როდრიგესმა ჩელსიზე ისაუბრა და თქვა, რომ ინგლისში გადასვლით მან სწორი არჩევანი გააკეთა.

პედროს ხშირად აკრიტიკებდნენ, მაგრამ სეზონის ბოლოს ესპანელმა ფორვარდმა თამაში გამოასწორა და რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა.

მისი თქმით, ჩელსის მომავალ წელს დიდი მიზნები აქვს, თვითონ პედრო კი არსად წასვლას არ აპირებს.

პედრო ჩელსის 2015 წლის ზაფხულში შეუერთდა, მანამდე კი მან 7 წელიწადი ბარსელონაში გაატარა, სადაც კატალონიურ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო გოლი ბარსელონის შემადგენლობაში პედრომ თბილისში, დინამო არენაზე გაიტანა – მისი გოლით ბარსელონამ სევილიას ევროპის სუპერთასი 5:4 მოუგო.




## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 2. იაპონური თეატრი, რომელშიც ყველა როლს მამაკაცი ასრულებს; 3, ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 4. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 7. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 8. კუთხე საქართველოში; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. სამრეწველო რაიონი სამხრეთ პოლონეთში; 17. უნივერსიტეტი პარიზში; 19. ფრანგული კოსმოდრომი საფრანგეთის გვიანაში; 20. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

**თარაზულად**: 5. დადგენილი ნორმა, სტანდარტი, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საგანი, საქონელი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 15. აჭარული სანახაობითი საქორწილო წარმოდგენა; 18. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობაზე; 21. პარფიუმერულ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 22. თორმეტი თანავარსკვლავედი; 23. ორთქლის, აირის ან წყლის ენერგიის მექანიკურ ენერგიად გარდამქმნელი მექანიზმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*